ტაბულაზე წარმოდგენილი პირი აღებულია აკად. პ. კოკოცეცევის გამოცემიდან, ხოლო ტექსტის გაშიფრვა — აკად. ივ. ჯავახიშვილის პუბლიკაციიდან.

ტაბ. 10 — ხანშეტი ლექციონარი.

ხელნაწერი ინახება ქ. გრაცში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელსაც ის გადაეცა პ. შუხართის მიერ მის სიცოცხლეშივე (გარდაიცვალა 1927 წ.) თანახმად ანდერძისა. პროფ. პ. შუხართს ეს ხელნაწერი შეუძინა გასული საუკუნის მიწურულში ვინმე მხატვრისაგან, რომელსაც სხვა რამდენიმე ხელნაწერთან ერთად ის სინას მთიდან გაეტანა.

ხელნაწერი ეტრატისაა, ზომით 18×16,1 სმ, თეთ ნაწერის არე ზომით 16,5×10,6 სმ-ია. ხელი მრგოლვანია. გადამწერი, ისე როგორც მომგებელი და შემზადების ადგილი, უცნობია. ენობრივი და პალეოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით VII ს-ში უნდა იყოს გადაწერილი.

ტაბულაზე მოთავსებული ტექსტი წარმოადგენს მათეს სახარებას, სახელდობრ XXVIII, 6—11.

ძეგლის შესწავლა და პუბლიკაცია ეკუთვნის ა. შანიძეს: 1. ქართული ხელნაწერები გრაცში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, თბილისი, 1929, გვ. 310—353; 2. ხანშეტი ლექციონარი, ფოტობოლოგიური რეპროდუქცია სოფონიოთურთ, ძველი ქართული ენის ძეგლები. 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1944. იხ. ავრთვე G. Garitte. Les feuillets géorgiens de la collection Mineana à Selly Oak (Birmingham). Le Muséon 73 (1960); ბენარ უტიე, ქართული ხანშეტი ლექციონარის ეთი ფურცელი, მაენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1973, გვ. 173—175.

ამ ტაბულაზე წარმოდგენილი პირი აღებულია ა. შანიძის გამოცემიდან.

ტაბ. 11 (Sin. 82—57—83) — სინური მრავალთავი.

უძველესი ქართული თარიღიანი ეს ხელნაწერი ინახება სინას მთის მონასტრის ბიბლიოთეკაში (ალ. ცაგარის აღწერილობით № 83; ნ. მა-

რის აღწერილობით № 32—33; ე. გარტიის აღწერილობით № 32—57—33). ხელნაწერი ეტრატისაა, შეიცავს 275 ფურცელს. მისი ზომაა 24,3×20,3 სმ. ნაწერია ორ სვეტად, თითოეულის ზომაა 18,2×6,2 სმ. ხელი მრგოლოვანია. გადამწერი რამდენიმე პირი ჩანს (ორი ნ. მარის მიხედვით), როგორც ამას ანდერძი გვაძენობს (იხ. ტაბ. 12): „მე, მაკარი ლეთთელი, ძმ გრი გრძელსაჲ, ცოდვილი ვრდ, ღირს მყო ღნ შესაქმედ წრდისა ამის წიგნისა მრავალთა ვისა თანა-შეწევნითა ძმისა ჩრნისა სულიერად პიმენ კახისაჲთა და კელთწერითა დედის ძმის წულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაჲთა...“ გადაწერილია ხელნაწერი იერუსალიმს, რასაც ანდერძივე გვაუწყებს: „დაიწერა ესე წიგნი იტლმს, ლავრა[სა] დიდსა წრდისა (!) და ნეტარისა მამისა ჩრნისა საბაჲსა“ (იხ. ტაბ. 41). იქვე ნაჩვენებია ხელნაწერის დაწერის დროც: „და დაიწერა წრდ ესე წიგნი დასაბამითჲან წელთა (სწერია: წერთა) ზვამს, ქრონიკონი იყო აღ“ ე. ი. 864 წ. (84+780).

ამ ხელნაწერიდან ამოცეცნილი რვეულები დასახელებული მონასტრის ბიბლიოთეკაში ცალკე ყოფილა აგრეთვე მოთავსებული (აღ. ცაგარლის აღწერილობით № 86, ხოლო ნ. მარის აღწერილობით № 57). ეს ნაწილი 60 ფურცლისაგან ყოფილა შემდგარი.

სინას მრავალთაღის აღწერილობა სხვა სინურ ხელნაწერთა აღწერილობასთან ერთად პირველად შეასრულა პროფ. ალ. ცაგარელმა. იგი შესულია მის ორს წიგნში: 1. Сведения о памятниках грузинской словесности, вып. 2, (СПб, 1889), стр. 51—98 და 2. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае (Православный Палестинский Сборник, том IV, выпуск I, СПб, 1888), Приложение II, стр. 193—240, 1902 წელს სინას შიის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას ხელი მიჰყვეს ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა. ჩვენი მრავალთაღი აღწერილი აქვს ნ. მარს: Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940, стр. 1—26, 93—97 (აქ მოყვანილი ცნობები აქვს დაკავს აღებული). 1927 წელს სინას შიის ქართული ხელნაწერები აღწერა რ. ბლექიძემაც. ხელნაწერი აღწერა აგრეთვე ე. გარტიამ: Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, par Gérard Garitte, Louvain, 1956, pp. 72—97.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს პეტრეს წამების ნაწყვეტს.

წამების მთლიანი წიგნი ათონის ნუსხის მიხედვით ნ. მარს აქვს გამოცემული: *Le Synaxaire géorgien... publié... et traduit par N. Marr, Patrologia Orientalis, tome XIX, fasc. 5, Paris, 1926, pp. 715—725.*

ხელნაწერი გამოცემულია: სინური მრავალთაღი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959.

ტაბ. 12 (Sin. 82—57—88) — სინური მრავალთაღი.

ხელნაწერის დახასიათებისათვის იხ. შენიშვნები ტაბ. 11-ისა.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ანდერძს წარმოადგენს ერთ-ერთი გადამწერისას — მაკარი ლეთთელისას.

ტაბ. 18 — ადიშის ოთხთავი.

თარიღიან ხელნაწერ ოთხთავთა შორის უძველესი ნუსხაა. დატულობის ადგილის მიხედვით ადიშურად იწოდება. ამჟამად ინახება ზემოსვანეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

ხელნაწერი ეტრატზეა წესრულებული. მისი ზომაა 38×32 სმ. მრგოლოვანი ხელით არის ნაწერი ორ სვეტად გვერდზე. ხელნაწერზე დართული ანდერძებიდან ჩანს, რომ გადამწერია ვინმე მიქაელი: „მწერ[ალი] ამის მიქაელ

ლოცვასა მომიჯს[ენ]ეთ და შემინდვეთ სიუცებ ჩემი“ (387r). გადაწერის ადგილი ანდერძებში პირდაპირ დასახელებული არაა; ფიქრობენ, რომ შატბერდს უნდა იყოს გადაწერილი. აი რას ამბობს ამის შესახებ ა. შ ა ნ ი ძ ე, რომელმაც გამოსცა „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“: „პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი შატბერდი იყოს გადაწერილი, მაგრამ, ჭერ ერთი, მის მომგებლად მოხსენებულია სოფრონი, რომელიც უთუოდ ის სოფრონია, რომელიც გრ. ხანძთელის ცხორებაში ასეა შესხმული: „ღიდი სოფრონი, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმამენსებელი და უკუნისამდე გვრგვნი მისი“; ესლა მეორე: ნიკოლაოს ჭუმათლის მინაწერიდან ცხადია, რომ აღიშინოთხთავი. სხვა ხელნაწერებთან ერთად, შატბერდიდან არის გამოტანილი. ამით-ტომ ვეჭვრობთ, რომ მისი დაწერის ადგილი შატბერდია“ (გვ. 012). მომგებლად პირდაპირ არც სოფრონია დასახელებული, მაგრამ მისი ანდერძის სიტყვები: „ღირს ვიქმენ მე, გლახაჲი [ს]ოფრონი, აღსრულებად წმიდასა ამ[ან] წიგნსა სახ[არებ]ასა ოთხ[თავ]სა ფრიადიტა მოლ[უ]აწები(თა სუ)ლიერთა d(მ)ათა ჩემთათა...“ (ტაბ. 200,1) მეკლევართ (ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ს, ა. შ ა ნ ი ძ ე ს) უფრო მომგებლად წარმოადგენინებს სოფრონს, ვიდრე მწერლად. ხელნაწერის გადაწერის თარიღი გადამწერის ანდერძშია აღნიშნული: „დააწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა ზფ[ა, ქრონიკო]ნსა რიჲ, შობ[ით-გან] უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა...“ ყველა სათვალავი ერთპირად, როგორც ეს ნათლად კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ გაარკვია (როლისაა გადაწერის აღიშინის სახარება, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 392—397). 197 წელს აღნიშნავს გადაწერის თარიღად.

ძველი თავისი უარესი მნიშვნელობის გამო გამოცემულია რამდენჯერმე: 1. Адышское евангелие, 200 фототипических таблиц и предисловие Е. С. Такайшвили, Материалы по археологии Кавказа, выпуск XIV, под редакцией графини П. С. Уваровой. А. С. Хаканова и Е. С. Такайшвили, Москва, 1916; 2. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა აკაი შ ა ნ ი ძ ე მ, ძველი ქართული ენის ძეგლები. 2 (საქართ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა), თბილისი, 1945; 3. ამ ოთხთავი სახარების ცალკე თავებს ცალკე წიგნებად აქვეყნებდა პარკარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი, რომელიც ქართულ ტექსტს ურთავდა ვარიანტებსაც ოპიზისა (913 წ.) და ტბეთის (995 წ.) ოთხთავების მიხედვით, ისე როგორც ლათინურ თარგმანსაც.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ლუკას სახარებიდანაა, სახელდობრ XXIII, 30—40. იგი აღებულია ერ მ ა კ ი ე ს მ იერ გადაღებული ფოტოსურათებიდან (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოპირების კოლექცია № 62), რომლებიც საფუძვლად დაედო ზემოთ ხსენებულ ფოტო-ტიპურ გამოცემას (იხ. ამ გამოცემის ტაბ. 153).

ტაბ. 14 (H 1660) — ჭრუჭის ოთხთავი.

ერთ ხანს ჭრუჭის მონასტერში! დაცულობის გამო ეს ოთხთავი ამ სახელით არის ცნობილი. ამჟამად ის ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში — H 1660.

ხელნაწერი შედგება 297 ფურცლისაგან. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად შავი მელნით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი ინიციალისა, რომლებიც წი-

¹ ჭ რ უ ჭ ი ზემო იმერეთშია, საჩხერის რაიონში.

თურად არის ნაწერი. ხელნაწერის ზომაა: 26×21 სმ, სვეტის ზომაა 21×6,7 სმ. ტექსტი ნაწერია ერთი ხელით მრგოლვანად.

ხელნაწერზე დართული ანდერძებიდან ჩანს, რომ დამკვეთი ანუ მომგებელი ვინმე გრიგოლი, გადამწერი კი — ვინმე გაბრიელ მღვდელი: „...ღრის ვეჟმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ კელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისათა...“ გადამწერის ადგილი ანდერძისავე თანახმად შატბერდია: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს კელითა უნებად მხსრეკალითა გაბრიელისითა, თანა-შეწევნითა და მოღუაწებითა გაბრიელისითა და გეორგისითა“. იქვე დაწერის თარიღიცაა აღნიშნული: „დასაბამითჲან წელნი იყენენჲ ხუმ, ქრონიკონი იყო რნვ“, რაც იძლევა 936 წ. (6540—5604=780+156).

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი მათეს სახარებიდანაა, სახელდობრ XXV, 8—16. იგი აღებულია უშუალოდ ხელნაწერიდან.

ეს ხელნაწერი წინარესთან (აღიშის ოთხოვთან) ერთად გამოსცა პირველად აკაკი შანიძემ (იხ. ზემოთ დასახელებული შრომა).

ტაბ. 15 და 18 (H 2128) — ჰილ-ეტრატის იაღგარი.

ასეთ სახელს ატარებს ის იაღგარი (საგალობელთა კრებული), რომელიც ნაწილობრივ პაპირუსზე (ქილზე) და ნაწილობრივ ეტრატზეა ნაწერი. ხელნაწერი პალესტინური წარმოშობისა უნდა იყოს, იქიდან (საბას ლავრიდან) არის გამოტანილი პ. უსპენსკის მიერ XIX ს-ის 50-იან წლებში. ერთ ხანს ლენინგრადში იყო დაცული, ამჟამად კი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება — H 2123.

ხელნაწერი 313 ფურცლისაგან შედგება, აკინძულია 3 წიგნად (ფფ. 119+100+94). ნაწერია ცალ სვეტად ეტრატსა და ქილზე (პაპირუსზე) ასომთავრულით. სათაურები და ზოგიერთი ასოები წითლად არის ნაწერი. ხელნაწერის ზომაა: 11,1×9,7 სმ, ხოლო ნაწერისა — 9×7,2 სმ. მომგებელი, გადამწერი, დაწერის ადგილი და დრო უცნობია. ხელის მიხედვით ის გადამწერი უნდა იყოს IX—X ს-ში. დაწერის ადგილად შესაძლებელია პალესტინა ვივარაუდოთ, რადგან ქილი, როგორც სწერი მასალა, იქ უფრო იყო ხმარებაში.

ტაბულებზე წარმოდგენილი ტექსტი აღებულია იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „იდ სეკდემბერსა ჯ'რთა აპყრობაჲ...“ (245V).

ხელნაწერის დაწერილობითი აღწერილობა მოჰოვება აკად. კ. კეკელიძის წიგნში: *Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение*. Типолис, 1908, стр. 350—372; ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, შედგენილია და დასაბუჟად მომზადებული ლუბაძე მეთეორილის მიერ აღ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 76.

ტაბ. 17 (A 1109) — უდაბნოს მრავალთავი.

ასე იწოდება ის მრავალთავი, რომელიც დაცული იყო გურიაში. უდაბნოდ წოდებულ სავანეში, საიდანაც ის 1920 წელს მოიტანა ა. შანიძემ. ამჟამად ეს ხელნაწერი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. წარმომავლობით მრავალთავი კლარჯული უნდა იყოს; შატბერდიდან გამოტანილად ვარაუდობს მას ე. თაყაიშვილი (არქეოლ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში, გვ. 307).

ხელნაწერი სრულად არ არის შემონახული, მას საკმაოდ აკლია როგორც თავსა და ბოლოს, ისე შიგნითაც. ამჟამად ის 179 ფურცლისაგან შედგება. ნა-

წერია ეტრატზე ორ სვეტად, ძირითადად მრგოლოვანი ხელით. ხელნაწერის ზომა 35×30 სმ, ცალი სვეტისა კი — 26×9,5 სმ.

მომგებელი, გადაშვარი, დაწერილი ადგილი და დრო უცნობია. ხელის მიხედვით ხელნაწერი X ს. ეკუთვნის.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ეკუთვნის იმ თავს, რომელიც სათაურად ატარებს: „მეორე თქმული ოქროპირისა და დღისათვის ამალგებისა უფლისა ჩუენისა“ („ამას დღესა შინა იხარებდელ ცანი“...).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, თბილისი, 1954, გვ. 93—101.

ტაბ. 18 (A 1450) — პარხლის ოთხთავი.

ასე იწოდება ის ერთ-ერთი ძველი რედაქციის ოთხთავი, რომელიც კლარჯეთში, შატბერდს არის გადაწერილი, მაგრამ მერმე ტაოში პარხლისათვის შეუწირავეთ.

ხელნაწერი შესრულებულია მრგოლოვანი ხელით მშვენიერად დამუშავებულ ეტრატზე. ნაწერია ორ სვეტად. ზომა ხელნაწერისა: 23×20,5 სმ, ცალი სვეტისა — 18×6,2. მელანი შავია, ინიციალებიც უმეტესად შავად არის ნაწერი, მაგრამ ზოგჯერ წითურადაც.

ხელნაწერს მოგაოვება ანდერძი კუთხოვანად. გადაშვარი ამბობს, რომ „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა... სალოცველად მეფეთა ჩუენთათვის ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართულთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა-ერისთვისა და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათვის... დაიწერა დასაბამითგანთა წელთა ზფოჲ, ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რჯჲ“. მაშასდააშე, ხელნაწერი გადაწერა იოვანე-ბერას 973 წელს. მომგებელი არსადა დასახელებული. ხელნაწერს მეორე ანდერძიც გააჩნია, საიდანაც ვიტყობთ ხელნაწერის დაწერისა და შეწირვის ადგილს. „მე, ივანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმთა შატბერდელთა“-ო.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი ლუკას სახარების დასაწყისია I, 1-7.

ტაბულაზე, მარცხენა და მარჯვენა კიდეებზე სათავაღია მუხლებისა, მაგრამ მუხლებად დაოფა და სათავაღების აღნუსხვა იოვანე-ბერასი კი არაა, არაჲდ გვიანდელი ხანის (XVIII ს.). მწიგნობრის ნიკოლოზ შთაჲრადიაკვისისა.

ხელნაწერის დაწერილობითა აღწერილობა იხ. ა. შანიძესთან — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945, გვ. 032—039.

ტაბ. 19 და 20 (S 1141) — შატბერდის მრავალთავი.

ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა თარგმნის და ორიგინალურ თხზულებათაგან შედგება, კრებულს ანუ მრავალთავს წარმოადგენს. იწოდება ასეთი სახელწოდებით იმის გამო, რომ ის დაწერილია შატბერდს, კლარჯეთის განთქმულ მონასტერში, რომლის აშენება დაკავშირებულია IX ს-ის ცნობილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის სახელთან.

ხელნაწერი შესრულებულია კარგ ეტრატზე მრგოლოვანი (1—255 გვ.) და კუთხოვანი (256—588 გვ.) ხელით. ნაწერია ორ სვეტად. ხელნაწერის ზომა 29×23 სმ, სვეტისა კი — 23×7,8 სმ; მელანი შავია, ინიციალებიც და თავებისა სათაურები წითურად არის ნაწერი.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი, რომელსაც სრულად არ მოუღწევია. აქ გადაიწერი აცხადებს: „შეუდგე კეთილს გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩვევის ყოველთა მოწესეთაჲ, იოვანე ბერაი და გაეასრულე წმიდაჲ ესე წიგნი... მოლუწებითა [და თანა-დგომითა] დედისა ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა... და შევწირე შატბერდს, საყოფელსა წმიდისა ღმრთისა-შშობლისასა, რომელსაცა შინა აღ[ვიზა]რდე, სალოცველად... მეფეთა ჩ[უენთა] ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათათჳს...“ ამრიგად, ამ ხელნაწერის ერთ-ერთი ვადაწერი ყოფილა იოვანე-ბერა (პარხლის ოთხთავის დაწერივე, იხ. ზემოთ, ტაბ. 18), აღზრდილი შატბერდის მოსახლემში. დრო ხელნაწერის დაწერისა არ ჩანს (ანდერძის ნაწილის მოუღწევლობის გამო), მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ის პარხლის ოთხთავის დაწერის ახლო ხანს უნდა შესრულებინა იოვანე-ბერას, ე. ი. 973—976 წწ-ში.

ტაბულებზე წარმოდგენილი ტექსტი ეკუთვნის იმ თავს, რომელიც სათაურად ატარებს: „ეპიფანშ კჳპრელისა თქუმული. ეპიფანშ ეპისკოპოსი კონსტანცია ქალაქისაჲ, რომელ არს დედა ქალაქთაჲ კჳპროს ქალაქისაჲ, რომელ თქუა ათორმეტთა მათ თუალთათჳს“.

ხელნაწერის დაწერილობითი აღწერილობისათვის იხ. 1. ნ. შარო, Ипполит, Толкование Песни песней, грузинский текст по рукописи X в.: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга III, СПб, 1901 (წინასიტყვაობა); 2. ე. თაყაიშვილი, Описание рукописей, Общества распространения грамотности среди грузинского населения, II, вып. 1—4, Тифлис, 1906—1912, стр. 632—651; 3. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, თბილისი, 1961, გვ. 36—40.

ტაბ. 21 (Sin. 47) — სახარებანი საციცკრონი წმიდათა კჳრიაკეთანი.

ხელნაწერი შეიცავს 92 ფ., ზომაა 14,2×12 სმ, ნაწერია ეტრატზე მთავრულით (2r—73r) და ნუსხურით (73r—91r). ხელნაწერს ერთვის ანდერძი: „...მოემადლა მე, იოვანეს, ფრიად ცოდვილსა ამას, და დაეჩხრიკე წმიდაჲ ესე წიგნაჲ კელთა ჩემ ცოდვილისაჲთა სინა-წმიდას, ეამსა ოდენ ბოროტად მოხუცებულებისათა ჩემისათა, წმიდანი ესე სახარებანი საციცკრონი წმიდათა კჳრიაკეთანი ყოველთა კმათა ზედა ყოვლითავე განგებითა სრულად, ვითარცა არს ბერძულად, სინა-წმიდას შინა, ბრძანებითა... მღღელისა კჳრიკე, წმიდისა მთისა სინა-წმიდისა დეკანოზისაჲთა... ოდეს ესე დაიწერა და შეიმოსა ქელთა იოვანე ცოდვილისაჲთა, დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ზჳა და ქრონიკონი იყო რჳჳ“ (88r—91r). ანდერძიდან ჩანს, რომ ხელნაწერი ვადაწერილია იოვანე-ზოსიმეს მიერ სინაზე 977 წ. სინელი დეკანოზის კჳრიკეს დაკვეთით.

ტაბულაზე აღბეჭდილია მათეს XXVIII თავის 11—14 მუხლები.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, СПб, 1889, стр. 75, ხელნაწერი № 53; Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва, Ленинград, 1940, стр. 53—55.

ტაბ. 22 (Sin. 88) — ოთხთავი.

ხელნაწერი შეიცავს 144 ფ., ზომაა 26×20,5 სმ, ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად, მთავრულით. ხელნაწერს ერთვის ანდერძი: „...ოდეს ესე წიგნი დაიწერა და შეიმოსა და განსრულდა კელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა სინა-წმიდას, დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ბერძულად ზჳა და ქრონიკონი იყო პჳ; და ქართულად დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ზჳაჲ და ქრო-

ნიკონი იყო რთო...“ (143r). ანდერძიდან ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია იოვანე-ზოსიმეს ხელით სინაზე 979 წ. ხელნაწერი თავნაკლულია, იწყება ლუკას XIII თავის მე-2-ე მუხლიდან. ნაკლული მათესა და მარკოზის თავები გადაწერილი ყოფილა ეზრა დაყუდებულის ხელით. ხელნაწერის მომგებელია სინაწმიდის დეკანოზი კვირიკე მიძნაძორელი (142 v).

ტაბულაზე აღბეჭდილია ლუკას XV თავის 16—29 მუხლები.

ხელნაწერის აღწერილობისთვის იხ. А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, СПб, 1889, стр. 59—62, ხელნაწერი № 12; ივ. ჟავახიშვილი, სინის შთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 101—105; Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, par Gérard Garitte, professeur à l' Université de Louvain, Louvain, 1956, pp. 144—152.

ტაბ. 28 და 24 (A 88) — მცხეთის დავითნი.

ასე იწოდება ყველაზე უძველესი ხელნაწერი ფსალმუნთა წიგნისა, რომელიც რედაქციულად ძველ ტექსტს შეიცავს. 150 ფსალმუნს წინ უძღვის ერთგვარ შესავლად ათახასე ალექსანდრიელის „ძალისათვის ფსალმუნთაჲსა“, ხოლო ბოლოს დართული აქვს დამატებად სხვადასხვა პირთა გალობანი და ლოცვები (209—238), „ქრონიკონი“ (239—248), ფსალმუნთა განაწილება (249—251) და სხვ...

ხელნაწერი შესრულებულია კარგ ეტრატზე მრგლოვანი ხელით. ნაწერია ცალ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 19,5×15 სმ, ნაწერისა კი — 14×9,5 სმ. მელანი შავია, აქა-იქ ნაზმარია წითელიც.

ანდერძი, მაუწყებელი გადაწერის ვინაობისა, დროისა და ადგილისა, წიგნს არ გააჩნია. გადაწერის დროდ მკვლევართა ერთი ნაწილი 974 წელს მიიხსენებს, ხოლო მეორენი — 904 წელს. ამის საფუძველს იძლევა ის შენიშვნა, რომელიც „ქრონიკონშია“ (237r): „დასაბამითგან რომელ წელნი გარდასრულ არიან, ესრჳთ იცნობების: ჭუარკუმამდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა წელნი ჰფლდ (5534), შემდგომად ჭუარკუმისა ვიდე მოაქამომდე (ე. ი. გადაწერამდე) შოდ“ (974). აკად. კ. ქეკელიძის მტკიცებით, ასეთი თვლის სისტემა (დასაბამიდან ჭუარკმა-ამალუბამდე) შემოღებულია VII ს-ში შედგენილ Chronicon Paschale-ში, რომელიც ძველად ჩვენშიც ყოფილა ცნობილი და ხმარებული. ითვალისწინებს რა ამ პრინციპს, ხსენებული მკვლევარი ასკვას: „მცხეთის «დავითნის» შენიშვნაში სამი რიცხობრივი მონაცემი გვაქვს: 1) ქვეყნის დასაბამიდან ქრისტემდე 5500 წელი ანიაზე ალექსანდრიელის სისტემისა, 2) 34 წელი ქრისტეს ქვეყნად არსებობისა მის ამალუბამდე და 3) 974 წელი ამალუბებიდან (resp. ჭუარკმიდან) ძეგლის გადაწერამდე. ეს სამი ციფრი გეაძლევს ჯამში (5500+34+974) 6508 წელს, ასე რომ, ანიაზე ალექსანდრიელის ერას გათვალისწინებით და Chronicon Paschale-ს პრინციპის მიხედვით, ქვეყნის დასაბამიდან ძეგლის გადაწერამდე გასულა 6508 წელიწადი. ქართული ეროვნული წულთარიცხვით კი, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან ქრისტემდე ითვლის არა 5500-ს, არამედ 5604 წელიწადს, ჩვენ მივიღებთ 6508—5604, ესე იგი — 904 წელს, როგორც თარიღს ამ საინტერესო ძეგლის გადაწერისას“. არსებობს ხელნაწერის დათარიღების სხვა ვარაუდიც. მზექალა შანიძე, ვარაუდის სახით, შესაძლებლად მიიჩნევს ხელნაწერის დათარიღებას 1016 წლით (იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, თბილისი, 1960, გვ. 016—017).

შეთე საუკუნის ამ ხელნაწერის შესახებ იხ. 1. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი 1, თბ., 1900, გვ. 139—191; 2. თ. კორანიძე, Описание рукописей церковного музея, 1, სტр. 29—34 და 3. კ. ეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიადან, 11, თბილისი, 1945, გვ. 339—341. ხელნაწერი გამოცემულია მ. შანაძის მიერ, იხ. ზემოთ დასახელებული წიგნი.

ტაბულებზე წარმოდგენილი ტექსტი ეკუთვნის იმ ნაწილს, რომელიც იწოდება „თქმული ნეტარისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა, ვითარ-იგი დიდითა წადიერებითა გულსმოდგინე ყოფილ არს გამოკუთვლად ძალსა ფსალმუნთასა და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი, მარტოდ მყოფი, საესქ მადლითა სულისა წმიდისაათა და მისგან ზედამიწვეულ არს ძალსა ფსალმუნთასა დავითისთა გულისხმის-ყოფად“.

ტაბ. 25 — ბერთის ოთხთავი.

ეს ოთხთავი ბერთას არის გადაწერილი (ბერთა კლარჯეთის სამონასტრო პუნქტი იყო). ნაკულევენად მოღწეულ ანდერძში თარიღი არ იხსენიება, მაგრამ იქ დასახელებულია ისტორიული პირი — ერისთავთ-ერისთავი სუმბატ არტანუჯი, რომელიც 988 წ. გარდაიცვალა. ამ მაჩვენებლის მიხედვით ბერთის ოთხთავი ამ წლამდის გადაწერილად მიაჩნით. აღნიშნული ანდერძიდან ეტუობილობთ, რომ ხელნაწერის მომგებელი ყოფილა ვინმე გაბრიელი.

ეს ხელნაწერი 1830 წ. გაუტანით ყარსიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკელ მისიონერებს. ახლა ის ინახება იქ, Andover — Newton Theological School-ში. ოთხთავის რამდენიმე ფურცლის ფოტო-პირი ამერიკელმა მეცნიერმა პროფ. R. Blake-მ გადმოუგზავნა აკად. ა. შანაძეს, რომლის ნებართვით ერთ-ერთი გვერდი ნიმუშებში შევიტანეთ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს მარკოზის სახარების II, 26 — III, 6.

ბერთის ოთხთავი აღწერილი იქვთ R. Blake-სა და S. Der-Nersessian-ს: The Gospels of Bert' hay... «Byzantion», 16 (1944), fasc. 1, pp. 226—285. მცირე ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ გამოაქვეყნა ქართულად აკად. ა. შანაძემ: ამერიკაში აღმოჩენილი ძველი ქართული ხელნაწერი, გაზ. კომუნისტი, № 231, 17. XI. 1944 წ. (საქლესის ცნობა).

ტაბ. 28 — მესტიის ოთხთავი.

ხელნაწერი შეიცავს 621 გვ. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად მთავრულით (5—597 გვ.) და ნუსხურით (598—619 გვ.). ხელნაწერის ზომაა 26,5×22,5 სმ, სვეტისა — 18×7 სმ. სვეტებს შორის მანძილია 1,5 სმ. სვეტში 18-19 სტრიქონია. ხელნაწერი ჩანსმულია შავი ტვიფრული ტყავით შემოსილ ხის ყდაში, ყდაზე გამოყვანილია ვერცხლის ჭვარი.

ხელნაწერს ერთგვის ანდერძი: „...ილარიონ, ძემან მასორისმან, იშხნელ ეპისკოპოსმან, მოვევი წმიდაჲ ესე ოთხთავი... აღწერე ლავრასა შინა კურთხეულსა წმიდისა წინამორბედისა იოვანესა, ოშკის, კელითა გლახაკისა გაბრიელ, გიორგის ძმისწულისაათა, ქრონიკუნსა [ხ]ნგ-სა, სალოცველად და სადიდებლად ღმრთიე მორწმუნეთა მეფეთა ჩუენთა ბაგრატ კურაპალატისა და დედისა მათისა მარიამ, ღედოფალთა-ღედოფლისა, ადიდენ ღმერთმან...“ (გვ. 617—618).

ამრიგად, ხელნაწერის მომგებელია ილარიონ, იშხნელი ეპისკოპოსი, გადამწერი — გაბრიელ. ოთხთავი გადაწერილია ოშკში, იოანე წინამორბედის

ლაერაში 1033 წ. ხელნაწერი ამჟამად დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ტაბულაზე აღბეჭდილია ლუკას VII თავის 3—9 მუხლები.

ტაბ. 26 ქრონოლოგიურად თავსდება ტაბ. 39-ის წინ.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. Д. Бакрадзе, Сванетия, Записки КОРГО, кн. VI, 1861; А. Хачапашвили, О Сванетских рукописных евангелиях и надписях, Материалы по археологии Кавказа, Москва, 1904, стр. 9—13; ე. კ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 279—282.

ტაბ. 27 და 28 (S 301) — მარტვილის ოთხთავი.

ხელნაწერი მარტვილის ოთხთავად იწოდება, რადგან იგი მარტვილიდან არის შემოსული საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა S ფონდში.

ეს ნუსხა ორნაირი ხელით ნაწერია ეტრატზე. პირველი, რომელიც მრგლოვანს წარმოადგენს, შეიცავს ფურცლებს 1—130-მდის. ის X ს-ისად ითვლება. მეორე ნაწილი კი, რომელიც შეიცავს ფურცლებს 131—184-მდის, კუთხოვნით არის შესრულებული. ხელნაწერის ამ ნაწილზე დართული ანდერძიდან ირკვევა, რომ ის 1050 წ. არის გადაწერილი.

მრგლოვანით ნაწერი ნაწილის გვერდები ორ-ორი სვეტისაგან შედგება. ხელნაწერის ზომაა 24×18,5 სმ, ხოლო ცალკე სვეტისა — 17×5,5 სმ. არც დრო და არც ადგილი, ისე როგორც მომგებელი და გადამწერი ამ ნაწილისა, ცნობილი არ არის. ათარიღებენ მას მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

ტაბულებზე წარმოდგენილი ტექსტი წარმოადგენს მარკოზის სახარებას, სახელდობრ: II, 5—15.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, თბილისი, 1959, გვ. 489—490.

ტაბ. 29 (S 1188) — სამოციქულო.

ეს ხელნაწერი სამოციქულოს უძველეს ნუსხათაგანია. ნაწერია მრგლოვანი ხელით ეტრატზე (176 ფურც.) ორ სვეტად. ზომა ხელნაწერისა არის 24×22 სმ, ხოლო ნაწერისა — 19,5×15 სმ. საწერელი შავია, ალაგ-ალაგ, გარკვეული მიზნით, წითელიც.

ხელნაწერს ანდერძი არ გააჩნია, რის გამო უცნობია დაწერის დრო და ადგილი, ისე როგორც გადამწერი და მომგებელი. საფიქრებელია, რომ ხელნაწერის 106v-ზე ნუსხის ხელითვე სინგურით შესრულებულ მინაწერში მოხსენებული პირი, ვინმე გაბრიელი („ქრისტე, შეიწყალე გაბრიელი“), გადამწერი იყოს. პალეოგრაფიულად ხელნაწერი X ს-ისა უნდა იყოს.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტია პრომეელთა მიმართ ეპისტოლისი XIV, 10—18.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჯორდანიას, Описание рукописей церковного музея, I, 1901, № 345 (ერთ ხანს ეს ხელნაწერი ამ მუზეუმში ყოფილა, მერმე კი წერა-კითხვის საზ-ბის მუზეუმისათვის დაუბრუნებიათ და ახლა კ. კეკელიძის საბელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდშია შესული — № 1138); ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, თბილისი, 1961, გვ. 30—31.

ტაბ. 80 და 81 (A 10) — სვანური მრავალთავი.

ასე იწოდება მრავალთავის ეს ერთ-ერთი უძველესი ნუსხა. მისი ასეთი სახელწოდება იმით არის დაკავშირებული სვანეთთან, რომ იგი ერთ დროს

აქ იყო დატული. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად მრგოლოვანი ხელით. ხელნაწერის ზომა 38×23,5 სმ, ხოლო ნაწერისა (ცალკე სვეტისა) — 33,5×10,5 სმ. სათაურებში ნახმარია სინგური საწერელი, ხოლო დანარჩენი ნაწილი შავი საწერლით არის შესრულებული.

ხელნაწერს ანდერძი არ გააჩნია. ამიტომ არც დრო და ადგილი აღმოცენებისა, და არც გადაწერი თუ მომგებელი ხელნაწერისა ცნობილი არაა. პალეოგრაფიული ნიშნებით ხელნაწერი X ს-ისად ითვლება.

ტაბულებზე წარმოდგენილია ტექსტი მე-11 თავიდან, ანუ საკითხავიდან, რომელიც სათაურად ატარებს: „ია საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა პეტრე მთავარეპისკოპოსისა იტრუსალემელისაა შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

ხელნაწერი დაწერილებით აქვს აღწერილი ს. გორგაძეს (სვანეთის მრავალთავი, საქართველოს არქივი, III, თბ., 1927, გვ. 27—33).

ტაბ. 82 და 88 (A 509) — ქსნის ოთხთავი.

ოთხთავის ერთ-ერთი ძველ ნუსხათაგანია ქსნის ოთხთავი, რომელიც ასეთ სახელს იმის გამო ატარებს, რომ ის ქსნის ხეობაში (ახალგორის ეკლესიის ნანგრევებში) აღმოაჩინა 1880 წ. ცნობილმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ.

ნუსხა, რომელსაც ბლომად აკლია ფურცლები, ნაწერია მრგოლოვანი ეტრატზე ორ სვეტად. მისი ზომაა 22,5×19 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 16,5×5,3 სმ (ცალკე სვეტისა).

ანდერძი, მაუწყებელი ხელნაწერის დაწერის ადგილისა ან დროს შესახებ, ისე როგორც მისი მომგებლისა და გადაწერის შესახებ, ნუსხას არ მოეპოვება. დაწერის თარიღი მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით არის განსაზღვრული (X ს.).

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტი ლუკას სახარებიდანაა: XXI, 9—23.

ხელნაწერას აღწერილობისათვის იხ. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია, ლიტერატურული ძეგანი, V, თბილისი, 1949, გვ. 291—321. ქსნის ოთხთავის ფრაგმენტები მათეს და ლუკას თავებიდან დატულია ქ. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკას ხელნაწერთა განყოფილებაში — Рукописная новая серия № 8—9 (იხ. ც. კანკიძე, ქსნის ოთხთავის ლენინგრადული ფრაგმენტები, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის შოკბე, IV, თბილისი, 1962, გვ. 163—223).

ტაბ. 84 და 85 (S 405) — ოთხთავი.

ნუსხა, ერთ-ერთი ძველი ოთხთავი, ნაწერია კარგ ეტრატზე მრგოლოვანი ხელით ორ სვეტად, შეიცავს 162 ფურცელს. მისი ზომაა 29×23 სმ, თვით ნაწერისა კი — 21,5×5,5 სმ (ცალი სვეტისა).

ანდერძი, მაუწყებელი ხელნაწერის აღმოცენების დროსა და პირობების შესახებ, ხელნაწერს არ გააჩნია. ხელნაწერს ორი მიწაწერი აქვს; საფიქრებელია, ესენი ორივე გადაწერისა იყოს. ერთი, ასომთავრულით შესრულებული, ასე იკითხება „ქრისტე, შეიწყალე გიორგი (გ'ი), ამენ“ (48v); ხოლო მეორე, ნუსხა-ხუცურით შესრულებული, ასე: „წმიდაო მახარებელი მარტო, მეოხ შეევა წინაშე ქრისტესა. ლოცვა ყავო, მონანო ქრისტესნო, გაბრიელის-თვს (გ'ბლისთვს)“. ვინ არიან გიორგი ან გაბრიელი, არა ჩანს. უკანასკნელი, შესაძლებელია, გადაწერი იყოს. ხელის მიხედვით იგი X—XI ს-ისაა.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტები წარმოადგენს ლუკას სახარებას:

I, 48—63.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, თბილისი, 1959, გვ. 507—508.

ტაბ. 36 და 37 (S 407) — სამოციქულო.

ერთი უძველესი ნუსხათაგანი, რომელიც შეიცავს ახალი აღთქმის წიგნებს (პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთასა და კათოლიკე ეპისტოლეებს) ერთგვარი შესავლით, რაც ევთალის სტიქომეტრიად იწოდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

ხელნაწერი შეიცავს 265 ფურცელს. ნაწერია კარგ ეტრატზე, ორ სვეტად, მრგლოვანი. ხელნაწერის ზომაა 25,2×21,3 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 18,5×6 სმ (ცალი სვეტისა).

ანდერძი, მუშუყებელი მომგებლის ან დამწერის ვინაობისა, თუ გადაწერის ადგილისა და თარიღისა, ხელნაწერს არ შემორჩენია. ერთგან (256r) ნუსხა-ხუტურით სწერია: „იესუ ქრისტე, აღუტოცენ ყოველნი ბრალნი მონასა შესნა ბასილს ბერს“-ო. რაც შეიძლება გვაფიქრებინებდა, აქ გადაწერილი თუ იგულისხმებდა, მაგრამ სიტყვები „ასილს ბერს“ განსხვავებული ხელით არის შესრულებული, რის გამო ნამდვილად მას გადაწერად ვერ მივიჩნევთ. ნუსხის ხელის მიხედვით სამოციქულო X ს-ის დასასრულისა ჩანს.

ხელნაწერი გამოცემულია — საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1950.

ტაბულებზე აღბეჭდილია II ეპისტოლე თესალონიკელთადმი — III, 3-18.

ტაბ. 38 (A 80) — იაკობის უამის-წირვა.

ასეთი სახელწოდებით ცნობილი ნაწარმოების აღრინდელი ხელნაწერია. ნაწერია კარგ ეტრატზე (86 ფურც.) მრგლოვანი ხელით ერთ სვეტად. მისი ზომაა 19,5×14 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 14×8,5 სმ.

ანდერძში, რომელსაც ნაკლული სახით მოუწვევია, ვკითხულობთ: „მე, ქრისტტს მიერ სკემონ (სრმნ) ქართლისა კათალიკოზმან, დაწერენ წმიდანი ესე უამის-წირვანი სამღვდელთ-მოძღუროდ საწირავად...“ (85v). სხვა ადგილიდან უფრო მკაფიოდ ჩანს ამ სკემონის როლი: „მოიქსნენ, უფალო, და აღიდგე მომგებელი ამთ უამის-წირვათაჲ სკემონ (სრმნ) ქართლისა კათალიკოზი“ (30v). მამსადამე, ხელნაწერის მომგებელი, ე. ი. დამკვეთი ყოფილა სკემონ ქართლისა კათალიკოზი, რომელსაც XI ს-ის დამდევის მოღვაწედ მიიჩნევენ. ერთი ადგილიდან (36r) გადაწერიც ჩანს. ის ვინმე ცისკარა მწერალი ყოფილა.

ხელნაწერის გადაწერის თარიღი აღარსად გვხვდება (ალბათ, ანდერძის დაკლებულ ნაწილში იხსენიებოდა), რის გამო დათარიღება სკემონ კათალიკოზის ზეობით ხერხდება მხოლოდ.

ტაბულაზე წარმოდგენილი ტექსტი უამის-წირვიდანაა, რომლის სრული სათაური შემდეგია: „უამის-წირვაჲ წმიდისა იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისა, პირველ მთავარეპისკოპოსისა იერუსალტმელისაჲ“.

ხელნაწერის აღწერილობა იხ. თ. გორდანიასთან — Описание рукописей церковного музея, I, стр. 35—87 და ე. კეკელიძესთან — Древо-грузинский архиепископ. грузинский текст... под редакцией и с предисловием К. С. Кекелидзе, Тифлис, 1912, стр. XVI—XIX.

ტაბ. 39 და 40 (A 28) — ურბნისის ოთხთავი.

ასეთ სახელწოდებას იმიტომ ატარებს ეს ხელნაწერი, რომ ის თბილისის სიძველეთსაცემში შემოსულია ურბნისის ეკლესიიდან. ნაწერია მრგოლოვნი ორ სვეტად კარგ ეტრატზე (222 ფურც.). ხელნაწერის ზომაა 19,8×14,5 სმ, თვითონ ნაწერისა კი — 15,5×4,5 სმ (ცალი სვეტისა).

ანდერძი, მთუწვებელი ხელნაწერის აღმოცენების შესახებ, ხელნაწერს არ გააჩნია. ერთგან (173v) ნუსხა-ხუცურად ნაწერი მინაწერი მოეპოვება: „შ, წმინდანო ღმრთისანო, მოქსენეთ სული იოვანესი გლახ ტატანელისა ლაცვასა შინა წმინდასა თქუენსა“. საფიქრებელია, რომ აქ მოხსენებული იოვანე ტატანელი გადამწერი იყოს. ხელის მიხედვით ხელნაწერი XI ს-ის პირველი ნახევრისა უნდა იყოს.

ტექსტი, ტაბულაზე წარმოდგენილი, ლუკას სახარებიდანაა: II, 34—51.

ხელნაწერის აღწერილობა იხ. თ. ჯორდანიასთან — Описание рукописей церковного музея, I, стр. 21—23.

ტაბ. 41 (Sin. 82—57—83) — სინური მრავალთავი.

ამ მრავალთავს წინათაც შეეხებთ. მისი აღწერილობა იხილეთ მეფერთმე-ტე ტაბულასთან.

ტაბულაზე წარმოდგენილია ორნაირი ხელით ნაწერი ტექსტი: მრგოლოვნი და კუთხოვნი. პირველი ხელით ნაწერი ტექსტი გაგრძელება იმისა, რაც მეფერთმეტე ტაბულაზეა აღბეჭდილი, სახელდობრ ანდერძისა. ხოლო მეორე ხელით, კუთხოვნით ნაწერი (აქ მოყვანილი, როგორც ამ ხელის უძველესი თარიღიანი ნიმუში) ანდერძის იმავე აუტორს — მაკარის — ეკუთვნის და დაწერილია იმავე გადამწერის — ამონას — მიერ, რომელიც ხელნაწერის ერთი გადამწერია.

ტაბ. 42 — დავითნი (ფრაგმენტი).

სინური ხელნაწერის ფრაგმენტი, ნაწერია ნუსხურით პაპირუსზე. ეს ფრაგმენტი, რამდენიმე ფურცელთან ერთად, პორფირი უსპენსკიმ წამოიღო სინაღში. ამჟამად დატულია ქ. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. სინური ხელნაწერი, რომელსაც ეს ფრაგმენტი ეკუთვნის, დაკარგულად ითვლებოდა. ხელნაწერს მიაკვლია ე. გარითმა (იხ. მისი Une édition critique du psautier Géorgien, Bedi Karthlixa, XI—XII, № 36—37, Paris, 1961, pp. 14—16). ა. ცაგარელი ფრაკქუტს VII—VIII ს. ათარილებს, კ. კეკელიძე — IX ს., ა. შანიძე — IX-X ს. მიწვე გამოაქვეყნა ამ ფრაგმენტიდან CVIII ფსალმუნის 68—80 მუსლები.

ტაბულაზე წარმოდგენილია CXI ფსალმუნის 1—8 მუსლები.

ფრაგმენტის შესახებ იხ. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, 1889, стр. 51—53; ა. შანიძე, ძველა ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 109. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 416—417.

ტაბ. 43 (S 1180) — მამათა სწავლანი.

ხელნაწერი შეიცავს 448 გვ., ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, ორ სვეტად. კაბადონის ზომაა 26,7×22 სმ, ხოლო ნაწერი სვეტისა — 22,7×7,3 სმ. სვეტებს შორის მანძილია 1,6 სმ. ხელნაწერი ნაკლულია, გადამწერილია ორი ხელით: I ხელით—1-25 გვ. და 26 გვ-ის I სვეტი, II ხელით — ხელნაწერის უმეტესი

ნაწილი (422 გვ.). ხელნაწერის დათარიღება ხერხდება ერთ-ერთი მინაწერთი: „[ქრისტეშან] დაიკვირნ მამფალი დავით დღეგრელოზობით და სიმართლით, ამენ“ (გვ. 18). სუმბატ დავითის-ძის ქრონიკონის მიხედვით, დავით მამფალი გარდაიცვალა 943 წ. ხელნაწერი დავითის გარდაცვალებამდეა გადაწერილი, დაახლ. 930—40-იან წლებში. (იხ. მამათა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. VI—VII).

ხელნაწერი გამოცემულია: იხ. ილ. აბულაძის დასახ. წიგნი, ხელნაწერი S 1139 გამოცემაში აღნიშნულია A ლიტრით.

ხელნაწერი დაწერილობითაა აღწერილი ილ. აბულაძის დასახ. წიგნში, გვ. V—X. იხ. აგრეთვე ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, თბილისი, 1961, გვ. 32—35.

ტაბ. 44 (Sin. 26) — მცირე იადგარი.

ხელნაწერი შეიცავს 305 ფ., ზომაა 15×13 სმ, ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, სხვადასხვა ხელით. ფფ. 40—51 პალიმფესტურია; ხელნაწერის ძირითადი ნაწილი დაწერილია ივანე-ზოსიმეს ხელით. თარიღი ახლავს ხელნაწერის ერთ-ერთი გადაწერის, ივანეს, გადაწერილ ტექსტს: „ქრისტე, შეიწყალე ივანე ცოდვილი, ამისი მწერალი. რომელი დამეკლოს, შემინდვე და ლოცვასა მომიკსენე. ქრონიკონი როდ“ (184v). ანდერძიდან ჩანს, რომ კრებულის ეს ნაწილი გადაწერილია 954 წ.

ტაბულაზე აღბეჭდილია ნიმუში თარიღიანი ტექსტიდან (155v), თავიდან „დასდებულნი მოციქულთანი ვისთვისცა გინდენ“.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ივ. ჭავჭავაძის შვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 48—50; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, II, თბილისი, 1965, გვ. 558—560; ძლისიძისი და ღმრთაშემოხლისისი, ირი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკლევა დაუარო ელენე მეტრეველი, თბილისი, 1971, გვ. 0108—0109.

ტაბ. 45 და 46 (H 2124) — იოანე ოქროპირის ცხოვრება.

ერთი უძველესი თარიღიანი ხელნაწერია ნუსხა-ხუცურით ნაწერებს შორის. იგი 257 ფურცელს შეიცავს. ნაწერია კარგ ეტრატზე. ხელნაწერის ზომაა 16×13 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 11,5×8,5 სმ.

ხელნაწერს ანდერძი მოეპოვება; იგი გვაუწყებს გადაწერისა და მომგებლის ვინაობას, გადაწერის აღვილსა და დაწერის თარიღს — „...მე, შიქელ ხუცემან ფანასკერტელმან, უცემან ცნობითა და უგუწურმან გონებითა და უნარჩევსმან ყოველთა მონაზონთა, გულს-ვიდგინე მოგება ამის წიგნისა და დავაწერი სულიერსა ძმას ჩემსა ივანე საფარელსა სალომეოლა სულისა ჩემისა... და შევეწირე წმიდასა მთასა სინასა, საყოფელსა წმიდისა მოსესა, სადაცა მე თვთ მკვდრ ვიყავ... მე გლახაკი და უღებე და ფრიად ცოდვილი მწარალი ამისი ივანე საფარელი და სულიერნი ძმანი ჩემნი... ლოცვასა წმიდასა მოგკცუნენით... და რომელი დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათეს, ღიდასა სწარფასა და უძმურებასა შინა დავწერე სიყუარულითა ძმისა ჩემისა შიქელისითა... დაიწერა ესე წმიდაა წიგნი ივანე ოქროპირისაა ლაერასა შინა ძველსა მამისა ჩუენისა ხარტონ მოღუაწისა და მოწამისაა. დასაბამითაგანი წელნი იყენს ხფობ, ქრონიკონი იყო რაჰჰ“.

ამ მოწმობიდან ჩანს, რომ ხელნაწერის დამკვეთი ანუ მომგებელია შიქელ ხუცესი, ფანასკერტელი, დამწერია ივანე საფარელი, რომელსაც ის გადაუწერია 968 წ., „ლაერასა შინა ძველსა მამისა ჩუენისა ხარტონ მოღუაწისა და მოწა-

მისასა“, რაც, როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, პალესტინის პალაე-
რა, ან უკეთ, პალეა ლავრა არის (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატუ-
რის ისტორია, I², გვ. 83).

იოანე ოქროპირის ცხოვრების ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ილ. აბულაძე, ქართული
წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში,
ენიკანს მ ო ა მ ბ ე, XIV, გვ. 57—72; ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და
საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, თბილისი,
1947, გვ. 77—79.

ტაბ. 47 (ათონის ხელნაწ.) — ათონის სამოციქულო.

ერთი უძველეს ნუსხათაგანი, რომელიც შეიცავს ახალი აღთქმის წიგ-
ნებს — პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთასა და კათოლიკე ეპისტოლე-
ებს. თავნაკლული, შედგება 237 ფურცლისაგან.

ხელნაწერი ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული ეტრატზე. თითო გვერ-
დზე ორი სვეტია. მისი ზომაა 223×172 მმ, ხოლო ნაწერისა — 182×118 მმ.
სვეტებს შორის მანძილი 18 მმ შეადგენს.

ნუსხას ანდერძი მოეპოვება (236 r), საიდანაც ირკვევა მომგებელი პირის
ვინაობა, დაწერის ადგილი და დრო: „...მე, მიქაელ გლახაკმან, სახელად ხუცეს-
მან... მოვიგე წმიდაჲ ესე პავლე... დაიწერა წმიდასა მთასა ოლინბოხსასა, საყო-
ფელსა წმიდათა კოზმან-დამიანეთასა, პატრიარქობასა კოსტანტინეპოლეს პო-
ლიოქტოქსა, მეფობასა ნიკიფორესა...“ აქედან ჩანს, რომ ნუსხის მომგებელი
ყოფილა მიქაელ ხუცესი და გადაუწერიათ ის კოზმასა და დამიანეს მონასტერ-
ში ოლიმპოს მთაზე, ბითინიაში, ნიკიფორე ფოკას მეფობისას (959—969 წწ.)
და კოსტანტინეპოლის პატრიარქ პოლიექტის მღვდელ-მთავრობისას (956—
970 წწ.).

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს საქმე მოციქულთას XXIII,
14—29.

ხე-ნაწერს აღწერილობასთვის იხ. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de
la bibliothèque de la lavre d'Iviron au mont Athos. Revue de l'Orient Chrétien, 3-e serie,
IX (XXIX) № 3—4 (1933-34), pp. 225-271. ხელნაწერი აქ შეუღლია № 42-ით. ზემოთ მოყ-
ვნილი ცნობები ამ აღწერილობიდან აიღეთ.

ტაბ. 48 და 49 (S 1141) — შატბერდის მრავალთავი.

ამ მეტად საგულისხმო ხელნაწერის შესახებ საკირო ცნობები ზემოთ,
ტაბ. 19 და 20-თან დაკავშირებით მოვეცით. აქ მხოლოდ ის უნდა დავსძინოთ,
რომ ტაბულებზე წარმოდგენილი მრავალთავის ტექსტი იმ თავიდანაა, რომე-
ლიც სათაურად ატარებს: „წმიდისა იპოლიტეს თქუმული კურთხევითა მითთვის
იაკობისთა, ვითარ-იგი აუღრამეტნი ნახბეტნი აკურთხნა“.

ტაბ. 50 და 51 (H 1840) — იოანეს გამოცხადების თარგმანება.

ნუსხა-ხუცურით შესრულებულ თარიღიან ხელნაწერთა შორის ერთი უძ-
ველესთაგანი ნუსხა შეიცავს ეფთვმე ათონელის მიერ თარგმნილ იოანე ღვთის-
მეტყველის გამოცხადებასა და ამ უკანასკნელის ანდრია კესარიელისეულ კო-
მენტარებს.

ხელნაწერი შედგება 210 ეტრატის ფურცლისაგან. მისი ზომაა 17,5×13
სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 11,8×7,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი, მაუწყებელი გადამწერის ვინაობისა,
დაწერის ადგილისა და თარიღისა — „...ლირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვი-

ლი საბა კუტი დაწერად კელითა ჩემითა წმიდასა ამას და ჰეშმარტსა წიგნსა გამოცხადებისასა... ბრძანებითა სულიერისა მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა და ძმისა ჩემისა იოვანესითა. და გულსმოდგინედ ვიხარე, რათა უცთომელად დაწერო, და კულად შევაწამე, და სადაცა ვპოვე გინა თუ დაკლებული ანუ შემატებული, ვიდრე ასოდ ერთადმე, ყოველივე ვავშმართე და, ვგვრანებ, თუ პირველსა უმჯობეს არს. აწ თქუენცა, რომელნი სწერდეთ, ევრეთვე ყავთ... დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ოლიმპოსს, საყოფელსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, ლავრასა შინა სასწელით კრანიას, მეფობასა ბასილისსა და კონსტანტინესსა, პატრიარქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისა, კირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოკრებასა გლახკათასა და აწყუედასა ჰაბუკათასა უწყალოდ ურთიერთს მახვლითა — ძმა ძმისა ზედა და მამა შვილისა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა, ამას რაჲ წიგნსა ეწერდი. ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა თვნიერ ღმრთისა... დასაბამითვანი წელნი იყენეს ხფაჲ, ქრონიკონი იყო რფჲ“ (208v—210r). ამრიგად, გადამწერი ყოფილა საბა კუტი, დუწერია დიდი ზედმიწევნითა და გულმოდგინებით ოლიმპოს მთაზე. ბითვინიას, კრანიას სახელით ცნობილ ლავრაში, 978 წელს (6582—5604=198+780), ისეთ დროს, როცა ბიზანტიის კეისრებს — ბასილსა და კონსტანტინეს — მასდგომით ვარდა სკლიაროსი.

ტაბულეზე წარმოდგენილი ტექსტი ანდრია კესარიელის განმარტებიდანაა: „წმიდისა ძმისა ჩუენისა ანდრიაჲს მთავარებისკომოსისა კესარი-კაბადულ-კიელისა თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმიდისა იოვანე მახარებლისაჲ. რომელი სთხოა სხუამან ებისკომოსმან და ამან მიწერა ესე მისა...“.

ხელნაწერის აღწერა-აღმოსაზრება იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის ყოფ. შუბუეუმის ხელნაწერები (H კოდექსი), III, შედგენილი და დასაბუქლად დამზადებული კრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 292—293. ხელნაწერი გამოცემულია — იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოცემაზე მოამზადა და გამოკლევდა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბილისი, 1961, გვ. 3—205.

ტაბ. 52, 58 და 54 — ოშკის ბიბლია.

ბიბლიის ცნობილ ქართულ ხელნაწერთა შორის ყველაზე უძველესი თარიღიანი ნუსხა ასე იწოდება იმის გამო, რომ ოშკშია (ტაოშია) გადაწერილი. ხოლო დღეს საბერძნეთს, ათონის მთაზე ინახება.

ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება: 532 და 428 ეტრატის ფურცლი-საგან. ნაწერია ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 445×323 მმ, ნაწერი სვეტისა კი — 330×102 მმ.

ხელნაწერს ანდერძ-მოსახსენებლები გააჩნია, საიდანაც ვტყობილობთ ცნობებს წიგნის მომეგებლისა და გადამწერის ვინაობის შესახებ, ისე როგორც მისი დაწერის ადგილისა და დროს შესახებ: 1. „...დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა უშკის, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა...“ (მეფეთა IV წიგნის ბოლოს, 219 v). 2. „...მე, იოანე, თორნიკ ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისმან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი მეფეთა სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათვს... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთაჲთა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა... ქრონიკონს რფჲ“ (მალაქია წინასწარმეტყველის წიგნის ბოლოს, 427r—428v).

მოყვანილი ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ხელნაწერის მომგებელია ცნობილი იოანე-თორნიკ; გადამწერია სამი პირი: მიქაელი, გიორგი და სტეფანე; გადაწერის ადგილია ოშკი და დაწერის თარიღია 978 წ. (198+780).

ტაბულეზე წარმოდგენილია სამივე ხელი. ტაბ. 53-ზე აღბეჭდილია გვერდის (309v) ძირა კიდეზე არსებული შენიშვნა: „აქამდე გიორგისი, აქათგან მიქაელისი წაღმართ“ო, გვიჩვენებს, რომ მომღვენო 310r (ტაბ. 54) ნამღვილად მიქაელის ნაწერია, ხოლო ამისგან განსხვავებული წინა ტაბულეზე წარმოდგენილი გვერდების ხელი, უნდა ვიფიქროთ, ერთი (ტაბ. 52) სტეფანესია და მეორე (ტაბ. 53) — გიორგისი.

ტაბ. 52-ზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოდგენს შექმნათას L, 6-21, ხოლო ტაბ. 53 და 54-ზე აღბეჭდილი — ისო ზირაქის წიგნის XI, 28—XII, 16.

აღწერლობისათვის იხ. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Lavre d'Ivroun au mont Athos, Revue de l'Orient Chrétien, 3^e série, t. VIII (XXVIII), 1932, რომელშიც ეს ხელნაწერი აღწერილია № 1-ად (ზემოთ მოყვანილი ცნობების ნაწილი აქედან აღმოღწეულ). იხ. აგრეთვე თ. ეზრდანიას Описание рукописей церковного музея, II, Тифлис, 1902, стр. 35—41 (სადაც მოცემულია აღწერლობა ოშკის ბიბლიისაგან გადღებული ერთ-ერთი პარაი).
აკად. ა. შანიძემ ხელნაწერიდან გადმოღებული ფოტო-პირების მიხედვით გამოსცა I ტომის ორი ნაკვეთი: წიგნის ძეგლისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 1, თბილისი, 1947 და ტ. I, ნაკვ. 2, თბილისი, 1948.

ტაბ. 55 (Sin. 15) — ოთხთავი.

ხელნაწერი შეიცავს 293 ფ., ზომაა 19×14 სმ, ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, ნაკლებია. ხელნაწერს ერთვის ანდერძი: „...ოდეს ესე დაიწერა სინა-წმიდას ქ[ელთა] იოვანე ფრიად ცოდვილისა იოვანე-ზოსიმესითა, [დასაბამით] განი წელი იყენეს ხვამ და ქრონიკონი იყო...“ (292r). ანდერძიდან ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია იოვანე-ზოსიმეს მიერ სინაზე 978 წ.

ტაბულაზე აღბეჭდილია ტექსტი მათეს XIX, 26—XX, 8.

ხელნაწერის აღწერლობისათვის იხ. A. A. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, СПб, 1889, стр. 57, ხელნაწერი № 8; ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 34—36; Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, par G. Gérard Garitte, professeur à l'Université de Louvain, Louvain, 1956, pp. 43—49.

ტაბ. 56 (Sin. 20) — მცირე იადგარი.

ხელნაწერი შეიცავს 132 ფ., ზომაა 15,8×12 სმ, ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, თავნაკლებია. ხელნაწერს ერთვის ანდერძი: „დაიწერა წმიდად ესე წიგნი კელითა იოვანესითა, ბრძანებითა კკრიკე, მთისა ხუცისათა. ვინ იმსახურებდეთ, ლოცვა-ყავთ ჩუენ ცოდვილთათეს და თქუენცა უფალმან შეგიწყალენ, ამენ. ქრონიკონი იყო სჴ“ (130v). ანდერძიდან ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია 987 წ. იოვანეს მიერ სინის მთის ხუცეს კკრიკეს დაკვეთით.

პ. ინგოროყვა ხელნაწერ Sin. 20-ს ცნობილი საბაწმიდელ-სინელი მოღვაწის იოვანე-ზოსიმეს ავტოგრაფად მიიჩნევს (იხ. მისი თხზულებათა კრებული, III, თბილისი, 1965, გვ. 558—559). Sin. 20-ის გადამწერი არ არის იოვანე-ზოსიმე (მღრ. იოვანე-ზოსიმეს ავტოგრაფს, ტაბ. 55).

ხელნაწერის აღწერლობისათვის იხ. A. A. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, СПб. 1889, стр. 82, ხელნაწერი № 64; ივ. ჯავახიშვილი,

ყუიხე ანაჲსი. 1908 (გვ. 372 და მომდ.); ელ. მეტრეველის აღწერილობა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. I, თბილისი, 1959, გვ. 544—567; პავლე ინგოროვიჩი, ოხხულებათა კრებული, 111, თბილისი, 1965, გვ. 222—226.

ტაბ. 59 (A 95) — პარხლის მრავალთავი.

ქართულ ხელნაწერთა შორის მოცულობით ყველაზე უდიდესი ეს ნუსხა გადაწერილია პარხლს (ტაოში) და ამიტომ პარხლისად იწოდება. ნაწერია კარგ ეტრატზე ორ სვეტად ნუსხა-ხუტურით. ხელნაწერი 658 ფურცელს შეიცავს. მისი ზომაა 48×35 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 36,5×10 სმ (სვეტისა).

ხელნაწერს ერთგან გადამწერისავე ხელთ მოსახსენებელი მოვპოვება, საიდანაც ვეცობილობთ გადამწერის ვინაობასა და გადაწერის ადგილს — „პირველ, ოდეს ამას წიგნსა დავიწერე, ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებდა და ცხოვრებაჲ ოდენ დავწერო... ვძებნე დედაჲ და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ. მეტრევე ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხლს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გაეასრულე... სული გაბრიელ პატარაისა მოიქნენით...“ (გვ. 1211—1212). აქედან აშკარაა, რომ გადამწერი ხელნაწერისა გაბრიელ პატარაი არის და ადგილი, სადაც მას ის უწერია, პარხალია.

დაწერის თარიღი ნუსხას არ გააჩნია. ხელისა და შინაარსის მიხედვით, მას ამ ბოლო ხანებში, X ს-ის ნაცვლად XI ს-ის დამდეგისად მიიჩნევენ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თავიდან არის, რომელიც იწოდება: „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, ხარებისათვის წმიდისა ღმრთის-შრობელისა მარიაშისა მთავარანგელოზისა გაბრიელის მიერ“ (ტექსტი გამოცემულია ილია აბო აბულაძის მიერ, მრავალთავი, ენიქმის მოამბე, XIV, გვ. 255—260).

ხელნაწერს აღწერილობისთვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей церковного музея. I, стр. 96—111 და მ. ჭანაშვილის ქართული მწერლობა, წიგნი I, თბილისი, 1929, გვ. 134—136.

ტაბ. 60 (S 4027) — პარხლის ოთხთავი.

ნუსხა-ხუტურით ნაწერი ერთი უძველეს ოთხთავთვანია. ნაწერია ეტრატზე (147 ფ.) ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 29×21 სმ, ხოლო ნაწერისა — 23,5×8 (ცალი სვეტისა).

ხელნაწერის 133რ-ზე გადამწერის ანდერძი მოიპოვება. იქ ვკითხულობთ: „დიდებაჲ ვენდა... სამებაო წმიდაო, რომელმან ღირს მყავ ცოდვილი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა. დაესრულა სახარებაჲ ოთხი თავი ქელითა ჩემ ცოდვილისა გაბრიელ პატარაისაჲთა“. როგორც აქედან ირკვევა, ხელნაწერის გადამწერია გაბრიელ პატარაი, ჩვენთვის უკვე ცნობილი პირი, ეხლახან აღწერილი ხელნაწერის (A 95) გადამწერი. ვინაიდან გაბრიელ პატარაი პარხლის მონასტრის მოღვაწედ ჩანდა X—XI ს-ში, ამიტომ ეს ოთხთავიც მას იმავე ადგილსა და დროს უნდა ჰქონდეს გადაწერილი. ამაში ეჭვს არ სტოვებს არც ხელი, რომელიც ორივეგან ყოველმხრივ ერთნაირია.

ხელნაწერთა აღწერილობისთვის იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, VI, თბილისი, 1969, გვ. 174—175. ტაბულას წარწერაჲ, (გვ. 121) გაპარულია კორექტურა, ხელნაწერის ნომერი უნდა იყოს S 4927.

ტაბ. 61 (A 603) — იადგარი.

საგალობლების წიგნთა შორის უძველეს ხელნაწერთაგანია ეს იადგარი, რომელიც შეიცავს დღესასწაულების გარკვეული რიგით დაწყობილ საგალობლებს სანოტო ნიშნებით. ნაწერია ეტრატზე ნუსხა-ხუცურით. შედგება 229 ფურცლისაგან. ხელნაწერის ზომაა 16,7×11,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 13,7×7,2 სმ.

სხვადასხვა ადგილს გადამწერისავე ხელით აღბეჭდილია: „ქრისტე, შეიწყალე იორდანე და იოვანე, ამენ“ (59r), რაც გადამწერთ უნდა ეხებოდეს. ხელისა და შინაარსის მიხედვით ეს იადგარი X—XI ს-ისა უნდა იყოს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი არის იმ თავიდან, რომელიც ასეთ სათაურს ატარებს: „შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“.

აღწერილობისათვის იხ. თ. ეორდანას Описание рукописей церковного музея, II, стр. 106—107; ძლისარანი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაუთმო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1971, გვ. 0105.

ტაბ. 62 (A 596) — იადგარი.

ეს იადგარიც, საუფლო და მთავარი დღესასწაულებისა, ერთი უძველეს ნუსხათაგანია. ნაწერია ეტრატზე ნუსხურად. შეიცავს 179 ფურცელს. ხელნაწერის ზომაა 18×13,7 სმ, ხოლო ნაწერისა — 15,2×9 სმ.

ანდერძი, მომთხრობი ხელნაწერის აღმოცენების შესახებ, ხელნაწერს არ შემორჩენია, რადგან მას ბლომად აკლია ფურცლები. ხელის მიხედვით იგი X—XI ს. უნდა ეკუთვნოდეს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თავიდანაა, რომელიც სათაურად ატარებს „იენისსა კ, მამაისი“.

აღწერილობისათვის იხ. თ. ეორდანას Описание рукописей церковного музея, II, стр. 104.

ტაბ. 63 და 64 (A 897) — ამოკალიძის თარგმანება ანდრია კესარიელისა.

ამოკალიძის ანდრია კესარიელისეული კომენტარების ქართული თარგმანის ერთი უძველეს ნუსხათაგანი ნაწერია ეტრატზე ნუსხა-ხუცურით. ხელნაწერი 452 გვერდს შეიცავს, რომელთაგან პირველი 54 გვერდი გვიანა (XVII ს.) დართული. ძველი ხელნაწერისა. მამასადამე, 398 გვერდია შემორჩენილი. ამ ნუსხის ზომაა 26×19 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 20×12,2 სმ.

ხელნაწერში მრავალი მინაწერი მოიპოვება, ზოგი დაწერილი ხელითვეა შესრულებული. ასე. მაგალითად იმ თხზულებას ბოლოს, რომელიც სათაურად ატარებს — „წმიდისა მამისა ჩუენისა ანდრიაჲს მთავარეპისკოპოსისაჲ კესარია-კაბადუკელისაჲ თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმიდისა იოვანე მახარებელისაჲ“ და რომლის ნაწილი ტაბულებზეა აღბეჭდილი, კვითხულობთ: 1. „უფალო ღმერთო, აღიდე სული მამისა ეფთჳმესი, რომელმან ესე წმიდაჲ წიგნი თარგმნა, ამენ“; 2. „...ლოცვა ყავთ უღირისა და ფრიად ცოდვილისა დღოსითესთეს და ზომად წერისა და დაკლებისათეს შემინდებით“ (110v). აქედან ირკვევა, რომ ამ თხზულების მთარგმნელია ეფთვიმე ათონელი, ხოლო გადამწერია ვინმე დოსითე.

ხელნაწერი უთარიღოა, ხელით კი X—XI ს-ისა უნდა იყოს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ეორდანას Описание рукописей церковного музея, I, стр. 392—395.

ტაბ. 65 (A 02) — არიოზისა და ევნომიოსის მიმართ გრიგოლ ღვთისმეტყველისა.

ხელნაწერი, რომელიც ეფთვიმე ათონელის მიერ ნათარგმნ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს შეიცავს, ნაწერია კარგ ეტრატზე ნუსხა-ხუცურად. ნუსხა სულ 845 გვერდისაგან შედგება, მაგრამ აქედან მხოლოდ 680 გვერდია ძველი ხელნაწერისა. ამის ზომაა 26,2×20,5 სმ, თვით ნაწერისა კი— 20×13,6 სმ.

ხელნაწერში გადაშვებისავე ხელით შესრულებული მრავალი მინაწერი მოიპოვება. მათით ირკვევა წიგნის მთარგმნელი, მომგებელი და გადაშვებელი. ასეთებია, მაგალითად: 1. „ქრისტე, აღიდე მაჰა ეფთვიმე, ამისი გამომთარგმანებელი, ორთავე შინა სოფელთა საუკუნოდ, ამენ“ (ასომთავრული ხუცურით, 106v); 2. „ამის წიგნისა მომგებელსა მიჰაელ ხუცესს შეუნდვენ ღმერთმან“ (ნუსხა-ხუცურით, 182v); 3. „დაიწერა ჭელთა ზაქარიასითა, არსენისითა და ბასილისითა, ღმერთმან გარწმუნოს, კსენებულ ჯუჟყვნით წმიდათა ლოცვათა თქუნთა“ (ნუსხა-ხუცურით, 284v). დასახელებული პირები ათონის შთაზე მოღვაწედ არიან მიჩნეული, ასე რომ ხელნაწერი ათონური წარმოშობისა ჩანს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თავიდანაა, რომელიც ატარებს სათაურად: „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისაჲ ძისათვის, პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილისა. თავი ა: ხოლო საკითხავი ესე სიტყუს გებაჲ არს მწვალებელთა მიმართ არიოზ და ევენუმის და მსგავსთა მათთა და მხილებაჲ ურჩულოჲსა მის და ბოროტისა წვალებისა მათისაჲ. ძ ი ს ა თ ე ს ვ ე, თავი მეორე“ (234r).

ხელნაწერი უთარიღია, ხელის მიხედვით XI ს-ის დამდეგისა ჩანს.

აღწერილობისათვის იხ. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს Описанне рукописей церковного музея, I, стр. 93—94.

ტაბ. 66 და 67 (A 1769) — მამათა სწავლანი (ფრაგმენტი).

მამათა სწავლანი, რომელთაგან ერთი ეფრემ ასურისაა, როგორც ეს აღნიშნულია 66-ე ტაბულაზე წარმოდგენილ ტექსტში, ფრაგმენტის სახით არის მოღწეული ჩვენამდე. ამ ნაწყვეტს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ ის ავტოგრაფს წარმოადგენს ქართველი დიდი მოღვაწის ეფთვიმე ათონელისას.

ორად-ორი ფურცელია გადარჩენილი თავის ღროზე საკმაოდ დიდი მოცულობისად სავარაუდებელი წიგნიდან, რომელიც ეფთვიმეს უთარგმნია ბერძნულიდან. მისი ზომაა 16,3×13 სმ, თვით ნაწერისა კი — 13×9 სმ.

რომ ეს ფრაგმენტი, ნუსხა-ხუცურით ნაწერი, ეფთვიმეს ხელით არის შესრულებული, ამას მოწმობს, ჯერ ერთი, მასზე აღბეჭდილი ეფთვიმეს მინაწერი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთვიმისთვის, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი ვთარგმნე“-ო (1v) და, მეორეც, შედარება პროფ. ალ. ცაგარლის მიერ ავტოგრაფად მიჩნეულ იმ ნიმუშთან, რომელიც მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომში: Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПб, 1886, стр. 92 (ხელნაწ. № 72, რაც შტრ. წიგნზე დართულ ტაბულას— V ა-ს და მის примечания-ს к палеографической таблице).

ფრაგმენტი უთარიღია. საფიქრებელია XI ს-ის დამდეგისა იყოს.

ფრაგმენტის აღწერილობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), V, შედგინა დიდი ქუთათელიძე მ., თბილისი, 1955, გვ. 249.

ტაბ. 68 (A 1108) — დიალოღონი.

ხელნაწერი ათონურია. ის შედგება 286 ფურცლისაგან. ნაწერია ნუსხა-ხუცური ხელით ეტრატზე ორ სვეტად. მისი ზომაა 36×29,5 სმ, თვით ნაწერისა კი — 29,5×10,5 სმ (სვეტისა).

ხელნაწერს ანდერძები მოეპოვება. ერთი მათგანი ეხება ხელნაწერის დაწერის ადგილსა და თარაღს: „ხოლო დაიწერა მთაწმიდას, ათონას, მონასტერისა წმიდათა მამათა აწმებულსა იოვანე და ეფთვმესა, საყოფელსა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-მშობელისას[ა]. ბერძულად დასაბამითგანნი წელნი იყენეს ზჳ, ინდიკტიონი — ჭუარკუმიოვან შჳ; ქართულად დასაბამითგანნი წელნი ზჳ, ქრონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ს ჭუარკუმიოვან — მეფობასა ბერძენთა ზედა ვასილისსა და ძმისა მათისა კოსტანტისა ძეთა, კოსტანტინეოვლეს პატრიარქობასა...“ (286v). მაგრამ ამას ჩვენ ხელნაწერის დასათარბებელ საყრდენად ვერ გამოვიყენებთ, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ანდერძი წინასწარ ჩანს დამზადებული ხელნაწერის გადაწერის დამთავრებამდე. ქრონოლოგიის შესახებად ადგილი თავისუფლად გაუშვიათ, სადაც, მართლაც, შემდეგში რიცხვები სხვა ხელით ჩაუწერიათ; თავისუფალი გაუშვიათ პატრიარქის სახელიც. ასე რომ ეს, თითქოსდა ანდერძი, გამოუსადეგარია. საეულისხმობა მეორე ანდერძი, რომელიც გვაცნობს გადამწერთა ვინაობასა და დიალოღონის თარგმანის შესრულების თარიღს: „...ხოლო მე, გლახკი იოვანე გრძელის ძე, ამას დავსწერ... და კუალად ლოცვა ყავთ წმიდისა მამად-მთავრისა არსენისთვის, ფრიალ უშრომია და უეკეთესი მათი დაწერილია ... და ჩუენ ცოდვილთა და არა ღირსთა უფროას ყოველთა ქრისტიანეთა შეიღისა ჩემისა ოქროპირისა და საბაას და ჩემ საწყალობელისა იოვანე გრძელის ძისათვის. ზოგი ჩუენ დაგვწერია... ხოლო ოდეს ესე ითარგმანა, ქართული ქრონიკონი იყო სლა, ბერძულად დასაბამითგანნი წელნი ზფთი და ქრისტიეს ჭუარკუმიოვან შჳგ, ინდიკტიონი თ...“ (117v—118r). ხელნაწერის დაწერის დროს გასარკვევად საინტერესოა ერთ-ერთი მინაწერიც: „ლოცვა ყავთ ღმრთ-შემოსილისა სულით და კორცით წმიდისა მამისა ეფთვმესთვის, რომლისა ზეობ[ა]სა ვწერთ“ (131v). როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, ხელნაწერი დაწერილია ათონს, დაუწერიათ ის იოვანე გრძელისძეს, ოქროპირს, საბასა და მამათ-მთავარს არსენის. თხზულება უთარგმნია ეფთვიმე ათონელს 1011 წელს, ხოლო ჩვენი ნუსხა შესრულებული უნდა იყოს 1011—1019 წწ. შორის (ეკანასკნელი წელი ეფთვიმეს ზეობის დასასრულია; ამ წელს მან დაანება თავი მამასახლისობას). ყოველ შემთხვევაში, XI ს-ის მეორე ათეულში.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი გრიგოლ რომთა პაპის დიალოღონის II თავიდანაა.

ხელნაწერის აღწერალობისთვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერალობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, თბილისი, 1954, გვ. 76—84.

ტაბ. 69 (A 91) — ოთხოვის თარგმანება.

ხელნაწერი ნუსხა-ხუცურიით არის შესრულებული ეტრატზე. შედგება 258 ფურცლისაგან. მისი ზომაა 26,5×20,3 სმ, ნაწერისა კი — 21×14 სმ.

ხელნაწერს მისი აღმოცენების მაჩვენებელი არც ანდერძი და არც რაიმე სხვა მინაწერი არ გააჩნია. მხოლოდ შემოსელია ერთს მინაწერში აღნიშნული: „შემიღოსა წმიდაჲ ესე წიგნი გაბრიელ ზრბითელისა კელითა“ (258r). ხელის მიხედვით XI ს-ის დამდეგისად მიიჩნევა.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს თარგმანებას სახარების სი-
ტყვებისას: „შევდლით იწროსაგან ბჰისა, რამეთუ ვრცელ არს ბჰე და ფართო
არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად და მრავალნი ვლენან მას. ვი-
თა-ოგი იწრო არს ბჰე და საჰირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა
და მცირედ არიან მავალნი მას შინა“ (226r). ეს აღვლილი მათეს სახარებიდანაა
(VII, 13-14), ამიტომ ის მათეს სახარების თარგმანებას წარმოადგენს და არა
ლუკასას, როგორც ეს თ. ჟორდანიას აქვს აღნიშნული (Описание руко-
писей церковного музея, I, стр. 93).

ტაბ. 70 (A 648) — მცირე სვინაქსარი.

უძველესი ხელნაწერი ქართული სვინაქსარისა, რომლის გადმოღება
ეკუთვნის ეფთვიმე ათონელს. იგი 72 ფურცლისაგან შედგება. ნაწერია ეტ-
რატზე ნუსხა-ხუცური ხელით. ხელნაწერის ზომაა 27×20,5 სმ, თვით ნაწე-
რისა კი — 21×14,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი სულ ბოლო ფურცელზე, რომელსაც
კ. კეკელიძე ამ ხელნაწერს არ აკუთვნებს. იქ ვკითხულობთ: „...დაიწერა
ქალაქსა შინა დიდსა კოსტანტინოპოლის, ახალსა პრომსა, დასაბამითგანთა
წელთა ვითარ ბერძენნი ითულავენ ზფლჲ, ინდიკტიონსა იგ, ქართველთა
ქრონიკონსა ხნ... ჩემსა მწირობასა პილურისა მონასტერსა კელითა შეიღისა
ჩემისა ბასილი ეტრატამსითა...“ (72r). აჭედან ნათელია, რომ თარიღი ხელ-
ნაწერის დაწერისა, რაც კოსტანტინეპოლს შეუსრულებიათ, 1030 წელია და
დამწერი კიდევ ბასილი ეტრატაჲ არის. ეს ანდერძი რომ მართლაც ამ წიგნი-
სა არ იყოს, იგი მაინც ამ ხანისად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან მის მიწაწე-
რებში იხსენიება ზაქარია ვალაშკერტელი, რომელიც დაახლოებით ამ დროს
მოღვაწეობდა.

სვინაქსარი, რომლის ტექსტის ნიმუში ტაბულაზეა აღბეჭდილი, უძვე-
ლესია ამ ტიპის ნაწარმოებთა შორის. ის, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული-
დან გადმოიღო ეფთვიმე ათონელმა. მისი სახელწოდება „სვინაქსარი საწელი-
წლოჲ უმცროჲ“ მოწმობს, რომ ის მცირე სვინაქსარს წარმოადგენს (შემდეგ
გიორგი ათონელმა გადმოიღო აგრეთვე „დიდი სვინაქსარი“).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. კ. კეკელიძის Иерусалимский канонарь VII в.
(грузинская версия), Тифлис, 1912, стр. 297—300 და თ. ჟორდანიას Описание руко-
писей церковного музея, II, Тифлис, 1902, стр. 132—133.

ტაბ. 71 (A 1) — გრივოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცური შესრულებული კარგ ეტრატზე, შეიცავს
456 ფურცელს. მისი ზომაა 28,5×21,5 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 21,7×
14,7 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება მინაწერი (456r): „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო,
აღიდე შენმიერთა ზეგარდამოათა დიდებითა ორთავე შინა სუფევათა ზაქა-
რია სვანგლოზი, ბანაელი მამად-მთავარი... ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად
ცოდვილისა უცბად მჩხრეკლისა ბასილისთვის...“ აქ მოხსენებულ ზაქარია ბანა-
ელს ზაქარია ვალაშკერტელად მიიჩნევენ და ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს ხელ-
ნაწერიც, წინას მსგავსად, დაახლოებით ერთსადაიმევე ხანაში უნდა იყოს და-
წერილი, ე. ი. 1030 წლის ახლოს. ანდერძი ნუსხას თემცა აღარ შემორჩენია,
მაგრამ ამ ხელნაწერის პირად მიჩნეულ ერთს XVIII ს-ის ნუსხას (A 16) გააჩ-

საყოფელსა წმიდისა ღმრთისა-მშობელისასა... დაიწერა ქრონიკონსა სენ“ (256r—v). ამ ცნობებით, მაასადამე, ირკვევა, რომ ნუსხა დაწერილია 1035 წელს, შატბერდს, რომლისთვისაც ის შეუწერავთ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ბასილი კესარიელის ფსალმუნთა თარგმანებიდანაა, სახელდობრ, ეკუთვნის თავს, რომელიც შემდეგნაირად არის წარწერილი: „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი თარგმანებაჲ ნო ფსალმუნისაჲ“ (179v). ამ თხზულების ქართული თარგმანი ეფთვიმე ათონელს ეკუთვნის.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ე რ დ ა ნ ი ა ს Описание рукописей церковного музея. I, Тифлис, 1901, стр. 142—144. ხელნაწერი აღწერილია და მასზე დართული ანდერძი გამოქვეყნებულია ელ. მეტრეველის მიერ (იხ. მისი „შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში“, აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX—B, თბილისი, 1959, გვ. 83—104).

ტაბ. 76 (H 2211) — ხვინაქსარი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული კარგ ეტრატზე, შედგება 452 ფურცლისაგან. მისი ზომაა 21×16 სმ, თვით ნაწერისა კი — 17,5×12,5 სმ.

ანდერძი ხელნაწერს ბოლოს გააჩნია (450v—452v), მაგრამ ნაწერი გადალუულია და კარგად აღარ ირჩევა. ანდერძი გამოქვეყნებულია ელ. მეტრეველის მიერ (იხ. მისი „შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, აკად. ს. ჭანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX—B, თბილისი, 1959, გვ. 83—104). გარკვევა, რომ ხელნაწერის გადაწერა იოანე ჭიბისძე, მომგებელი — დავით ჭიბისძე. მის სახელთან დაკავშირებული ერთი ხელნაწერი ახლახან (ტაბ. 75) დაეახსიათეთ. აქედან, ცხადია, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ხელნაწერი გადაწერილია XI ს-ის პირველ ნახევარში, უფრო ამ ნახევრის ბოლო ათეულში, რადგან ეს ხელნაწერი, რომელშიც წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსარი, 1042—44 წწ-ში ნათარგმნად მიიჩნევა.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, თბილისი, 1949, გვ. 151; ელ. მეტრეველის დასახ. სტატია.

ტაბ. 77 და 78 (H 1866) — მათეს სახარების თარგმანება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ეტრატზე, შედგება 299 ფურცლისაგან. მისი ზომაა 32,5×21,5 სმ, თვით ნაწერისა კი — 25,8×16 სმ.

ნუსხას ნაკლებევაწობის გამო ანდერძი არ შერჩენია. გადაწერის მინაწერებიდან კი ზოგიერთი უნდა მიგვიითებდეს მთარგმნელზე („ქრისტე, შეიწყალე ეფთვიმე“ — 93r), ეფთვიმე ათონელზე, ზოგი — ხელნაწერის მომგებელზე: „ქრისტე, შეიწყალე ფოკას ებისკოპოსი“ (2r); „ესე სახარებისა თარგმანი დაიწერა ფოკასის საფასოათა...“ (96v), მაგრამ სად დაიწერა და ვის მიერ, არსადაა აღნიშნული. ხელის მიხედვით ხელნაწერი შეიძლება მივიჩნიოთ XI ს-ის პირველი ნახევრისად.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი მეორმოცე თავიდან არის იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტებისა, რომლის მთარგმნელადც ეფთვიმე ათონელია ცნობილი.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზღვარის ეფ. მუზეუმის ხელნაწერებისა (H კოლექცია), III, ქრ. შარაშვილის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 325—326.

ტაბ. 79—82 (H 1741) — პალესტინური ოთხთავი.

ნუსხა-ხუცურით შესრულებულ ოთხთავთა შორის ერთი უძველესი თარიღიანი ნუსხათაგანია, შედგება 335 ფურცლისაგან. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 21,8×15,5 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 17×4,8 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერის მოეპოვება ანდერძი: „...მე, გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალაგრელი, მნათე ყოფილი, ყოველთა მოწესეთა ნარჩევი, მიწა და მტურეი, შვილი მცხეთისაჲ, ღირს მყო ღმერთმან... და მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა, აღგომსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და წმიდასა გოლგოთასა, და მოვილოცენ ყოველნი წმიდანი ადგილნი მისნი მოწყალებითა ქრისტესითა და დამაწესეს მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა... და მოვიგე წმიდაჲ ეცე ოთხთავი, სრული ყოველითა საქმრითა, სალოცველად ცოდვილისა უფლისა ჩემისა... ქრონიკონი იყო ხმს. დაიწერა წმიდასა ადგილსა გეს(ა)მანიას, საფლავსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა დედისაგან საბა-წმიდისა, განგებსა ზედა ბერძულსა, ღიად ხარკებითა კელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მცხეთისაჲე მიწისაგან...“ (298v—299r). აქედან ირკვევა, რომ ხელნაწერის მომგებელი ყოფილა პალაგრაში მოღვაწე ხუცესი მცხეთელი სტეფანე, რომელსაც დაუწერინებია ეს ოთხთავი საბაწმიდური დედნიდან მცხეთელსავე მიქაელისთვის გესამანიას, იერუსალიმს, 1048 წ.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს ლუკას სახარების VII, 41—47; VIII, 11—16; IX, 13—25.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), IV, შედგენილია და დასაბუქდალ დამაღებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950, გვ. 173—174.

ტაბ. 83 და 84 (H 1700) — ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის ცხოვრება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ეტრატზე, შეიცავს 131 ფურცელს, მისი ზომაა 20×14 სმ, ხოლო ნაწერისა — 16,5×8 სმ.

ნუსხას მოეპოვება ანდერძი: „წმიდაო მღვდელ-მოდელარო ნიკოლოზო, მეოხ ეყავ... ერისთავთ-ერისთავსა ივანე დადიანსა..., რომელმან ილაწა სიყუარულისათვის შენისა და აღწერა ანგელოზებრი მოქალაქობაჲ შენი... დაიციე მშველობით, სიმრთელით და დღევრძელობით...“ (1r). მართალია, აქედან არა ჩანს ხელნაწერის დაწერის არც ადგილი და არც დრო, მაგრამ აქ მოხსენებული პირის — ერისთავთ-ერისთავის ივანე დადიანის — მოღვაწეობის ხანა XI ს-ის პირველ ნახევარზე მოდის, რის გამოც ნუსხის დათარიღება შესაძლებელია ამ ხნით. ამას უდგება ხელნაწერის ხელიც, რომელიც, თუ ანდერძში ნახმარ სიტყვას „აღწერას“ გადაწერის მნიშვნელობით გაიგებდით, ამავე დადიანისათვის უნდა მიგვეყუთვნებინა.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტის სათაური შემდგენიარად არის წარწერილი: „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ [დიდის] და საკვრეელთ-მოქმედისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მთავარებისკაპოზისსაჲ მირთა ქალაქისა, რომელ არს ქუეყანასა ლუკისასა“.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), IV, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950, გვ. 139—140.

ტაბ. 85 (A 285) — კლემაქსი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე შესრულებული, შედგება 266 ფურცლისაგან, რომელთაგან 24 ფურცელი (ქალაქისა) შემდეგშია დავით რექტორის მიერ დამატებული. ძველი ხელნაწერის ზომაა 21×14 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 18×10 სმ.

ანდრძი ხელნაწერს აღარ შემორჩენია ნაკლულებანობის გამო თავისა და ბოლოსი. გადამწერის მიერ შიგნით გაკეთებულ მინაწერებში ხშირად იხსენიება არსენი, ათონის მოღვაწე, ასე რომ, იგი, საფიქრებელია, ათონური წარმოშობისა იყოს. ხელის მიხედვით ხელნაწერი XI ს-ის პირველი ნახევრისად უნდა მივიჩნიოთ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იოანე სინელის კლემაქსიდანაა, სახელდობრ, თავიდან, რომელიც ასეა წარწერილი: „თქმული მისივე ყოვლად წმიდისა და სათნობათა დედისა ლოცვისათვის და მას შინა გუამითაჲ და გონებითა კეთილად დგომისა თავი კმ“ (222r).

აღწერილობისათვის იხ. თ. უორდანიას Описание рукописей церковного музея, I, Тифлис, 1901, стр. 287—288.

ტაბ. 86 (A 840) — სვინაქსარი.

ნუსხა-ხუცურით ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი შეიცავს 191 ფურცელს. მისი ზომაა 28,5×21,7 სმ, ხოლო ნაწერისა — 21×13,7 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდრძი: „...დასრულდა განგება თუეთა წელიწადისათაჲ ქელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ათანასესითა... ღმრთისათვის ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის, რომელნიცა იკითხვიდეთ, გინა სწერდეთ, რამეთუ, ღმერთმან იცის, ფრიადი ლუაწლი და ჭირი მინახავს ამისა თარგმნასა(!)... წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა... ათანასესთვისცა, რამეთუ ფრიადითა ჭირითა და გულსმოდგინებითა გარდმოვწერე მესამისა წიგნისაგან მეოთხედ წიგნად... დიდად მიხარება სიმართლჳ და სიტყვისა არაშეცვალებაჲ, ამისთვის რამეთუ ფრიად საკრძალავი წიგნი არს და სულთა სარგებელი და ეკლესიისა წინამძღუარი უცთომელი...“ (180r—v). აქედან ჩანს, რომ ეს წიგნი (სვინაქსარი) უთარგმნია გიორგი (მთაწმიდელს), ხოლო გადაუწერია ათანასეს. მეოთხე ცალი ყოფილა ეს ნუსხა ათანასეს გადაწერილთაგან, მაგრამ სად და რა დროს არის გადაწერილი, არაა ნათქვამი. ხელის მიხედვით იგი XI ს-ის პირველი ნახევრისა უნდა იყოს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. მ. ჭანაშვილის Описание рукописей церковного музея, III, Тифлис, 1908, стр. 51—53.

ტაბ. 87 და 88 (S 381) — მარტვილის ოთხთავი.

ეს ოთხთავი, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, (ტაბ. 27 და 28), ორნაირი ხელით არის ნაწერი: ასომთავრული ხუცურითა (1—130 ფფ.) და ნუსხა-ხუცურით (131—184 ფფ.) ერთიცა და მეორეც ნაწერია ორ სვეტად ეტრატ-

ტაბ. 93 და 94 (A 97) — სვინაქსარი.

გიორგი მთაწმიდლისეული სვინაქსარის ერთი უძველეს ხელნაწერთაგანი, შესრულებულია ნუსხა-ხუცური ხელით. ხელნაწერი შედგება ეტრატის 369 ფურცლისაგან. მისი ზომაა 27×20 სმ, ხოლო ნაწერისა — 20×13,5 სმ.

გადამწერის ანდერძი ნუსხას არ შემორჩენია, მთარგმნელისა კი შემორჩენილია „...ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის... ფრიადი ღუაწლი და ჰირი მინახავს ამისსა თარგმნასა... სიმართლე დიად გვხარკებია და სიტყუსა არაშეცვალემაჲ, ამისთვის რამეთუ ფრიად საკრძალავი წიგნი არს და სულთა სარგებელი და ეკლესიისა წინამძღუარი უცთომელი... ხოლო რომელი სწერდეთ, სიტყუასა ნუ შესცვალებთ, ნუცა სახელსა, ღმრთისათვის“ (290r). აქვე, გასწვრივ აშიაზე სინგურით მიწერილია: „ესე ანდერძი გიორგი მთაწმიდელისა არს, ვინცა სვინაქსარსა სწერდეთ, ღმრთისათვის ნუ შეცვალებთ“. ხელის მიხედვით ნუსხა XI ს-ის მეორე ნახევრისა შეიძლება იყოს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей церковного музея. I, Тифлис, 1901, стр. 115—116.

ტაბ. 95 და 96 (A 257) — ოთხთავის თარგმანება.

ოთხთავის თარგმანების ნაწყვეტი, ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად ეტრატზე ნაწერი, 9 ფურცლისაგან შედგება. მისი ზომაა 39,4×30 სმ, ხოლო ნაწერისა — 31,5×10 სმ (ცალი სვეტისა).

ანდერძი ნუსხას არსად მოეპოვება. ხელის მიხედვით XI ს-ის მეორე ნახევრისა უნდა იყოს.

ტაბულებზე აღბეჭდილი ტექსტი გვაწვდის განმარტებებს მათეს სახარების ადგილებისა: XI1, 41 და 42. ეტყობა, უნდა იყოს იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანება, რომელიც ეფთვიმე ათონელმა გადმოიღო.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას Описание рукописей церковного музея. I, Тифлис, 1901, стр. 267—268.

ტაბ. 97 (A 845) — შავიმთის ოთხთავი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, შეიცავს 306 ფურცელს. მისი ზომაა 16,3×12,8 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 12,2×4 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება შემდეგი ანდერძი: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა, უდაბნოსა ლერწმისკევისასა, ზღვს ბირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევკისა, კელითა უბადრუქისა და მწარედ ცოდვლისა შავ ზაქარიაჲსითა, მადლითა და ლოცვითა მოძღუროსა ჩემისა საბა პროკოპე-წმიდელისაჲთა, რომელი მკვდრ იყო მონასტერსა წმიდისა სუმეონ საკვრველთ-მოქმედისასა... და მოაფხვსა მისსა დანიელს შეუნდვენ ღმერთმან ბრალნი მისნი, ამინ“.

„ნიკოლოს ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათვის და წყალობისა. მისითა დედითა დაეწერე, რომელი მას დაეწერა გიორგი მთაწმიდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძელთა სახარებათადა შეემოწმა მესამედ; ორჯელ პირველ შეემოწმა, ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათვის, ამინ“.

„და მე შემინდევით ღმრთისათვის, უცბად და უშეცრად ჩხრეკისათვის,

სხუა ღონე არა მაქნდა, საფასისაგან გლახაკად ვიყავ და უსასყიდლოდ და არაეინ დამიწერდა...“ (305v—306r).

როგორც ვხედავთ, ეს ოთხთავი შავი მთიდანაა. დაუწერია ის ვინმე შავ ზაქარიას, რომელსაც სახსარი იმდენი არა ჰქონია, რომ სხვისათვის დაეწერი- ნებინა. დედანი ამ ნუსხისა ყოფილა გიორგი მთაწმიდელისაგან ბერძნულზე შემოწმებულთაგანის გადმონაწერი.

როლის არის გადაწერილი ეს ოთხთავი, ანდერძიდან არ ირკვევა. ხელის მიხედვით კი ის შეიძლება XI ს-ის მეორე ნახევრისად ჩათვალოს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს მარკოზის სახარებას — IX, 5—12.

სელნაწერის აღწერა: ობს. იბ. მ. ქანაშვილის Описание рукописей церков- ного музея. III, Тифлис, 1908, стр. 59—67.

ტაბ. 98 (S 1276) — მეტაფრასი.

ხელნაწერი შეიცავს 220 ფ., ზომა 36×23 სმ, ნაწერია ძველ ქალაღზე ნუსხურით. ხელნაწერში ერთადაა აკინძული ორი სხვადასხვა ხელნაწერი. პირველი (1—115 ფ.) ძირითადად ჰომილეტიკური ხასიათისაა, XI საუკუნის II ნახევრისა. პირველი ნაწილი დაწერილია ოთხი სხვადასხვა ხელით, რომელ- თაგან მესამე (72r—80v) ეფრემ მცირის ავტოგრაფია (იხ. ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბი- ლისი, 1959, გვ. 115—125).

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი აღებულია ბასილი ისავერელის საკით- ხავიდან „ისტყუა ჩხელთათს ბეთლემ მოწყუედილთა“ (72r—74v). ეს სა- კითხავი თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ და მისივე ავტოგრაფია (იხ. ელ. მეტრეველის დასახ. სტატია, გვ. 122).

ხელნაწერის აღწერა: ობს. იბ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქარ- თული შრომის წინადასრულებული საზოგადოების (S) კოლექცია, II, თბილისი, 1961, გვ. 135—142; ელ. მეტრეველის დასახ. სტატია.

ტაბ. 99 და 100 (A 558) — ათონის კრებული.

ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა ჩაწარმოების კრებულს წარმოადგენს, ნაწერია ნუსხა-ხუტურით ეტრატზე და შეიცავს 213 ფურცელს. მისი ზომა 19,4×11,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 16×9,7 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება გადაწერის ანდერძი: „შეწენითა ყოვლად წმი- დისა სამებისათა... მადლითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვი მიაწმდილი- საათა მე, გლახაკმან სულითა და უნდომან კორცითა მიქაელ დაღალისონელ- მან, სახითა ხოლო მონაზონმან, დაეწერე ცხორება განმანათლებელისა ჩუე- ნისა ეფთვიმ ქართველისა ახლისა ოქროპირისა და მერამე... ქადაგებანი და მიმოსლვანი დიდებულისა ღმრთის-მეტყუელისა და მახარებელისა იოანესნი, მამასახლისობასა გიორგი ოლთისარისა, დეკანოზობასა იაკობ მღვდელისასა, განზრახვითა მისითა, თენიერ სასყიდლისა და ყოვლისავე საფასოასა... ეტრატ- ი იაკობ დეკანოზმან მოილო. ფარჩხად წერისათეს შემინდევით, რამეთუ მესამესა წელსა ბოსტანსა მ.ს და დასასრულსა ჰასაკათას შინა ვიქციოდე. აწ თუ ესეცა გარდავლო და მიწად მივიქცე და ყოვლითურთ უკმარ ვიქმნა, ხო- ლო თქუნე ნამუშავევი რაე იხილოთ, მუშავი გექსენედ, რაათა თქუნეცა მო- გიქსენეს ქრისტემან... ქარიკონი იყო, ოდეს დაიწერა — ორას ოთხმეოც- და ათოთხმეტი.

დაწერა ამასვე წმიდასა ლავრასა წმიდისა ეფთვიმის მიერ აღწენებულსა, ბურღოსა შინა, სადა თვთ მას წმიდასა დაუყოფია. და ვინცა ვინ ესე წიგნაჲ ამას წმიდასა ეკლესიასა რაათაცა მიზეზითა გამოაქუას, რომელსა შინა სწერია წმიდისა მამისა ჩუენისა ცხორებაჲ და მერმე აღაპნი და მერმე ქადაგებანი მოციქულისანი, იგიმცა ნუ არს კურთხეულ, და ვინცა ვინ რაათაცა არგოს და შეამოსოს, კურთხეულ იყავნ იგი, ამინ“ (155r—156r).

აქედან ირკვევა, რომ ეს კრებული დაუწერია მიქაელ დალაღისონელს 1074 წელს, ათონს, ქართველთა მონასტერში, ეფთვიმეს მიერ აშენებულ ბურღოში, ე. ი. კოშკში.

ტაბულეზე აღბეჭდილი ტექსტი იოანე მახარებლის ცხოვრებიდანაა, რომელსაც ასეთი სათაური აქვს წარწერილი: „ცხორებაჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისაჲ, აღწერილი პროხორეს მიერ მოწფისა მისისა, ერთისა შვდთაგანისა, ძმისწულისა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა. თარგმნილი წმიდისა მამისა და განმანათლებელისა ჩუენისა ახლისა ოქროპირისა ეფთვიმე მთაწმიდელისაჲ“ (90r).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ქორდანიას Описание рукописей церковного музея, II, Типоис. 1902, стр. 85—86; ნ. ბერძენიშვილი, ათონის კრებულის რედაქცია. საქართველოს საბელაშვილო მეზემის მოამბე, XI—B, თბილისი, 1941, გვ. 25—40.

ტაბ. 101 (H 1850) — ხაწინასწარმეტყველო.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, შეიცავს 93 ფურცელს (ნაწყვეტია). მისი ზომა 24,8×18 სმ, ხოლო ნაწერისა — 18,5×11,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...დაესრულა საწელიწადო საწინამწარმეტყველოჲ წესსა ზედა ბერძულსა, ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ, სრული ყოვლითურთ და უნაკულუოჲ.

მე, სულთა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინამწარმეტყველოჲ დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის, სალოცველად ღმრთივ გვარჯუნისანთა მეფეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა... და კულად სალოცველად ძმათა ჩემთა იოანე ჭყონდიდელ მთავარბისკოპოსისა და სინგლოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართა უხუცესისა; და ჩემ ცოდვილისაცა ეგნატიისთვის ლოცვა ყავთ... ქრონიკონი იყო ტ და ე. დიწერა მოსე ხუცისა ხანციელისა ქელითა“ (93r-v).

როგორც აქედან ირკვევა, ეს ხელნაწერი გადაუწერია მოსე ხუცესს, ხანციელს, ეგნატის დაკვეთით, 1085 წელს. იგი ბერძნულიდან ნათარგმნი ყოფილა გიორგი ათონელის მიერ.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი საკითხავია ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან (XL, 10—14), რომელიც იკითხვისთა „თუესა ავსტოსსა კო, თვისს კუეთაჲ წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისაჲ, წინა დღით მწუხრსა“.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ქორდანიას, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 232—233; ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მეზემის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილი ქრ. შარაიშის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, III, თბილისი, 1948, გვ. 306.

ტაბ. 102 (A 186) — ოთხთავის თარგმანება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით შესრულებული ორ სვეტად კარგ ეტრატ-

ზე, შეიცავს 391 ფურცელს. მისი ზომაა 36,7×26,7 სმ, ხოლო ნაწერისა — 29,3×8,2 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება შემდეგი ანდერძი: „...ღირს ვიქმენ მე, უღირსი ეგნატი, სახელით ოდენ ხუცეს-მონაზონი... აღწერად წმიდასა ამას წიგნსა, თარგმანებასა წმიდისა სახარებისასა... ღმრთივ აღმწებულსა უდაბნოსა შინა წყაროხათავს, სენაკსა შინა ნეტარისა ბერისა ეფთჳმენსა, რომლისაცა ფერკთა თანა აღზრდილ ვიყავ, და შევწირე ეკლესიასა წყაროხათვისასა... საღი-ღებელად და სალოცველად ღმრთივ გვრგვინსანთა მეფეთა ჩუენთა... დედოფლისა მარიაშისა და ძმისა მათისა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა, და ძისა მათისა დავით მეფისა და სევესტოსისა, და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა, და გამზრდელისა ჩემისა მამისა ეფთჳმენსა და ყოველთა მამათა წყაროხათველთა...“ (391r).

როგორც აქედან ჩანს, ოთხთავის ეს თარგმანება გადაწერილია წყაროხათავს (კლარჯეთს) ეგნატე ხუცეს-მონაზონის მიერ, მაგრამ როდის — ნათქვამი არაა. შოგ მოხსენებული მეფეები წინა ხელნაწერის ანდერძშიც ამნაირადვე იყენენ ჩამოთვლილი, ამიტომ ამ ხელნაწერის აღმოჩენება შეიძლება იმავე ხანას მიეკუთვნებოდეს, რასაც წინა, ე. ო. XI ს-ის 80-იან — 90-იან წლებს (თ. ე ო რ დ ა ნ ი ა 1089—1091 წწ. შორის ღებეს დაწერის თარიღს).

სხვათა შორის, წინა ხელნაწერის ანდერძშიც ეგნატე იხსენიება ხელნაწერის მომგებელად, მხოლოდ იქ არა ჩანს, თუ რა წოდების პირია. რადგან ხანა და მოღვაწეობის ადგილი (ხანძთა, შატბერდი, წყაროხათავი — კლარჯეთი) ერთი და იგივეა, ამიტომ შეიძლება ორივე ხელნაწერი ეგნატე წყაროხათაველის სახელთან იქნეს დაკავშირებული.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წარმოადგენს იოანე ოქროპირის მათეს თავის თარგმანებას, რომელიც ქართულად ეფთჳიმე ათონელმა გადმოიღო. აქ განმარტება ეხება მთ (49) თავს, მათეს სიტყვებს: „ეთარცა შემწუხრდა, მოუტდეს მოწაფენი...“ (XIV, 15-21).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს Описание рукописей церковного музея, I. Тип. и др., 1901, стр. 144; მისივე, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 234—235.

ტაბ. 108 (A 98) — პარაკლიტონი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, 207 ფურცლისაგან შედგება. მისი ზომაა 34×24,3 სმ, ხოლო ნაწერისა — 28×17 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, აღიდე წმიდაა მამა ჩუენი გიორგი მთაწმიდელი, რომლისა შეწევნითა დავნუსხე წმიდაა ესე და სულთა განმანათლებელი პარაკლიტონი...“

მე, უღირსი და ფრიად საწყალობელი... უღები და დაქსნილი ათანასე, არბანდ ყოფილი, ღირს ვიქმენ დაწერად და აღსრულებად... დიდებასა ყოველთა ეკლესიათასა წმიდასა ამას პარაკლიტონსა, სრულსა და უკლებსა, ვითა ეთარგმნა წმიდასა მამასა გიორგი მთაწმიდელსა... და შევწირე უნდოა ესე ნამუშავევი კელთა ჩემთაა... წმიდასა იოვანეს წინამორბედსა... ხოლო თქუენ, ღმერთმემოსილნო წმიდანო მამანო, აწ მყოფნო და კუალად მომავალნო, დიდებულისა და სახელგანთქუმელისა ოპიზისა მკედრნო... იხილოთ რაა ნამუშავევი ესე კელთა ჩემთაა, თქუთ სიტყუაჲ წყალობისაა... დაიწერა ქრონიკისა ტოჲ, დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას. დედაჲ გიორგი მთაწმიდელი... ნუსხისაგან დაწერილი მქონდა, მაგრა ეზომ წურტილად ნაწერი იყო, რა-

მელ კაცისა თავისა თმასა ჰკვანდა და მე კაცი ვიყავ მოღღეწებულნი...“ (206r—v).

აქ მოყვანილი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ხელნაწერი, რომელიც პარაკლიტონს წარმოადგენს, გადაუწერია თვით მისი მთარგმნელის — გიორგი ათონელის — ხელნაწერის პირიდან, ოპიზას, ათანასე ბერს, არვანდ ყოფილს (ე. ი. ნათისკაცობაში რომ არვანდი პრემევი), 1093 წ. და შეუწირავს ოპიზისავე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიისათვის.

ხელნაწერის აღწერალობისათვის რ. ბ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს ოписание рукописей перкопийского музея, I, Тифлис, 1901, стр. 95.

ტაბ. 104 (A 1105) — მამათა ცხოვრება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ნაწერი, შედგება 458 ფურცლისაგან. ნაწერია ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 24×17 სმ, ხოლო ნაწერისა — 21×6 სმ (ცალი სვეტისა).

გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერები ზმირად იპოვება ხელნაწერში. ერთი მათგანი შემდეგს გადმოგვცემს: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ცოდვილისა თეოფილშ რშცა თარგმანისათჳს, რამეთუ ცოდვანი ერთბამად ყოველთანი მქონან, ხოლო სინანულსა ერთისასაცა ყოვლად არა ვახლავ... და ბერი კლიმი აკურთხეთ ყოველთა, რამეთუ შემდგომად ღმრთისა და წმიდათა მისთა მისითა მოლუაწებითა ითარგმანების წმიდად ესე და სულთა საცხორებელი წიგნი, საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მისი, ამინ“ (163v). აქედან ირკვევა, რომ მთარგმნელი ამ თხზულებისა, რომელიც „მამათა ცხოვრებად“ იწოდება (ე. ი. პატერიკად), არის თეოფილე, ხოლო მისი ხელის შემწყობი — ვინმე ბერი კლიმი. თეოფილე თარგმანი თეოფილე ხუცესმონაზონია, რომელიც ათონს მოღვაწეობდა XI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში.

სად, როდის და ვის მიერ არის გადაწერილი ეს ნუსხა, არ ირკვევა (ბოლოს თუ ეწერა, ეს ბოლო ნუსხას აღარ გააჩნია), ხელის მიხედვით კი XI ს-ის მიწურულისა უნდა იყოს.

ხელნაწერის აღწერალობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერაობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), IV, შეადგინა ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ე შ. თბილისი, 1954, გვ. 86—90; შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I... ტექსტი გამოსაყენებლად მოამზადა... შ ა ნ ა ნ ა დ ვ ა ლ - ბ ა. თბ., 1956, გვ. 017.

ტაბ. 105 (A 090) — ოთხთავის თარგმანება.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, შეიცავს 155 ფურცელს. ხელნაწერის ზომაა 27,5×20 სმ, ხოლო ნაწერისა — 22,5×6 სმ (ცალი სვეტისა).

არც გადამწერი და დამკვეთი, არც დრო და ადგილი ხელნაწერის დაწერისა არ ვიცით, რადგან მას არც მინაწერი და არც ანდერძი არ გააჩნია. ხელის მიხედვით კი XI ს-ის მიწურულისაა.

ნუსხა წარმოადგენს ოთხთავის განმარტებას, სახელდობრ, მათეს სახარებისას, რომლის ავტორად იოანე ოქროპირია ცნობილი, ხოლო ქართულად მთარგმნელი ეფთვიმე ათონელია. ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ამ თხზულების მეორე თავიდანაა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „სწავლავ შ, ცხოვრებისათჳს მონაზონთაჲსა“, სადაც განმარტებულია მათეს სახარების ადგილეები II, 19—23.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. მ. ჯანაშვილის *Описание рукописей церковного музея*, III, Тифлис, 1908, стр. 252; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, III, თბილისი, 1963, გვ. 143, ხელნაწერი № 1698.

ტაბ. 106 (A 24) — გარდამოცემა მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა იოანე დამასკელისა.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ორ სვეტად ნაწერი. შედგება 147 ფურცლისაგან. მისი ზომაა 21×16 სმ, ხოლო ნაწერისა — 18,2×7,5 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერი წარმოადგენს თარგმანს იოანე დამასკელის თხზულების „წყარო ცოდნისას“, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის, როგორც ეს თხზულებისათვის წარმძღვარებული წინასიტყვაობიდანაც ჩანს. მისი დაწერის დრო და ადგილი, ისე როგორც გადაწერი და დამკვეთი, ანუ მომკვებელი უცნობია.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი წიგნის მეორე ნაწილიდანაა, რომელიც ასეა წარწერილი: „ღირსისა მამისა იოვანე ხუცეს-მონაზონისაა — გარდმოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“ (36r). იმ თავის სათაური კი, საიდანაც აღებულია დასახელებული ტექსტი, ასეთია: „ჩუენ შორის მყოფისათეს, ესე იგი არს თვთმფლობელობისა, თავი ლთ“ (74v).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. კორდანიას *Описание рукописей церковного музея*, I, Тифлис, 1901, стр. 17—19.

ტაბ. 107 და 108 (H 1661) — ხვინაქსარი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით კარგ ეტრატზე ნაწერი, შედგება 339 ფურცლისაგან. მისი ზომაა 24,5×19 სმ, ხოლო ნაწერისა — 19,3×14 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „დაიწერა წიგნი ესე წმიდასა ქალაქსა იჭრუსალემსა, მონასტერსა შინა ჭუარისასა, კელითა უცხად მჩხრკელისა ფრიად უღირსისა ხუცეს-მონაზონისა გიორგი დოდისითა. სრულ იქმნა... ესე წიგნი ბერძენთა ზეად მეფობასა მანოელისსა, ქართლს — დიმიტრისსა... დასაბამითვანნი წელნი იყენეს ზღნთ...“ (338v).

ამრიგად, ხელნაწერი, რომელიც გიორგი ათონელის რედაქციის სვინაქსარს წარმოადგენს, გადაუწერია ჭუარის მონასტერში, იერუსალიმს, 1155/6 წელს გიორგი დოდისს.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ელ. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, აკად. ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შოამბე, XV—B, თბ., 1948, გვ. 37—43; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), IV, შედგენილია და დასაბუთდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950, გვ. 82—86.

ტაბ. 109 (Q 1152) — ველათის ბიბლია.

ხელნაწერი შედგება 403 ფურცლისაგან, მისი ზომაა 40×28,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 33×20 სმ; ნაწერაა ქალაღზე XII—XIII ს-ის ნუსხურით. ხელნაწერი ნაკლულია, შეიცავს ბიბლიის ტექსტს კატენებითურთ. ფურცლის შუაში მოცემულია ბიბლიის ტექსტი, ხოლო ამოკეზზე — შესაბამისი კომენტარები. კომენტარები ნაწერია იმავე გადაწერის ხელით.

ტაბულაზე აღბეჭდილია II შჯულისა XXXII თავის 10—11 მუხლები კომენტარითურთ.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჯორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 37: ბ. გიგინეიშვილი. ც. კიკვიძე. რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი — შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 1966, გვ. 150.

ტაბ. 110 (A 65) — ზოდიაკოთათვის.

ხელნაწერი, რომელიც სხვადასხვა ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, ნაწერია ქალღმერთზე ორნაირი ხელით: ნუსხა-ხუცურითა და მხედრულით (უკანასკნელით შესრულებულია მარტო 36 გვ., დანარჩენი ნუსხა-ხუცურით ნაწერს უჭირავს).

გადამწერის ანდერძი ხელნაწერს არ ახლავს. ხელნაწერის დაწერის თარიღის განსასაზღვრავად გამოსაყენებელია კრებულის შემადგენელი ერთი სტატია, სახელდობრ, კვიცილოსი, რომელშიც იკითხება: „...წელნი ქრისტესითგან ვიდრე მოაქამომდე — ქართველნი ვთულავთ წელიწადსა ჩის, ხოლო ჭულად ყოველნი წელნი ადამისითგან დღესამომდე, ოდეს ესე დაიწერა ხლჳბ, ქრონიკონი ვჴ“ (179v). აქედან ბირველი სათარიღო ნიშანი 1210 წელს უდრის, ხოლო დანარჩენები — 1188 წელს. ნუსხა, მაშასადამე, დაწერილია 1188—1210 წწ.

ხელნაწერს მოეპოვება გადამწერის ვინაობის მუშუყებელი მინაწერიც: „შემინდევით, ღმრთისა მადლსა, ვინცა იკითხვიდეთ, ნუ მწყევთ, ფიცხლა მიხჩრკეთა მე, გლახაყსა ისაის“ (180r).

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი კრებულის იმ ნაწილიდან არის, რომელიც შეიცავს სწავლას ზოდიაკოთა შესახებ.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჯორდანიას Описание рукописей церковно-истор. музея, I, Тифлис, 1901, стр. 59—65; ა. შანიძის პალეოგრაფიული რეველი, თარგმანებაი ჭებისა ჭებათისაი, თბილისი, 1924, წინასიტყვაობა.

ტაბ. 111 და 112 (A 1886) — ვანის ოთხთავი.

ასეთ სახელწოდებას ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად კარგ ეტრატზე ნაწერი ეს ოთხთავი იმის გამო ატარებს, რომ ის სოფ. ვანიდან (იმერეთიდან) არის შესული სიძველეთსაცავში. ნუსხა შედგება 272 ფურცლისაგან, მისი ზომაა 29×21 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 19×5,2 სმ (ცალკე სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება მისი დამწერის ხელით შესრულებული რამდენიმე მინაწერი: 1. „წმიდანო მახარებელნო, განმაძლიერეთ ცოდვილი იოანე, რომელმან ფრიადსა უძლურებასა შინა მყოფმან ჴელ-ყვავ წერით მოსაქმეზად წმიდისა ამის სახარებისა“ (126v); 2. „...ხოლო ჩუენთა ამათ შინა ეჴმათ დიდი მოღუაწეთა შორის ბერი ზაქარია, მი-რაჲ-ვიდა მათსა წმიდასა, ძიება ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათჳს; და პოა დიდსა წიგნის საცავსა შინა და აღივსო სიხარულითა, და მიერ გარდმოწერა შატ-ბერდელსა ხუცესსა სტეფანეს. და აღმო-რაჲ-ვიდა რომანას, მე ჴელ-ყვავ, ცოდვილმან იოანე, აღწერად, რამეთუ აღრითგან სწყუროდა სულსა ჩემსა მოგებად წმიდისა სახარებისა. აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აჴა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ წენტილითა და პატივთა ზედა მეორითა სიტყვთა, რამეთუ ანდერძი

ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“ (266v); 3. (მხედრულად) „ესე სახარებოა მე, იოანე უღირსმან, საპყარმან და მოლოცველმან წმიდის დედოფლის თამარისმან, ვიოფლე წერით ქალაქსა შინა კონსტანტინოპოლის. ლოცვა-სავთ ყოველთა“ (272v).

როგორც ამ მინაწერებიდან ვიტყვობთ, ეს სახარება დაუწერია კონსტანტინეპოლს, რომანსა, „უღირსსა, საპყარსა და მოლოცველსა დედოფლისა თამარისსა“ იოანეს. ამ ნუსხის დედანი გადმოწერილი ყოფილა შატერადელი ხუცის სტეფანეს ხელით მთაწმიდას, დიდ წიგნის საცავში, ვინმე ზაქარიას მიერ მიკვლეული გიორგი მთაწმიდელისაგან „აღწერილი“ ცალიდან.

ტაბულეებზე აღბეჭდილი ტექსტი მათეს სახარებიდანაა, სახელდობრ: XII, 3—20.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. უფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), IV. შადუნა ქრისტონე შარაშაძემ, თბილისი, 1954, გვ. 407—410.

ტაბ. 118 — ლაბსყალდის ოთხთავი.

ხელნაწერი შეიცავს 265 ფ., ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად. ხელნაწერის ზომაა 29×22 სმ, სვეტისა — 18,5×5 სმ. სვეტებს შორის მანძილი 1,8 სმ-ია, სვეტში 21 სტრიქონია. ტექსტი ნაწერია ნუსხურით. ხელნაწერი ჩასმულია ბოლოქრული ვერცხლის ფირფიტებით შემოსილ ხის ყდაში. ყდაზე გამოყვანილია მაცხოვარი, ჭვარციმის კომპოზიცია, მახარებელთა და მოციქულთა გამოსახულებები. ხელნაწერი შემკულია ნატიფი გემოვნებით შესრულებული კამარებით, თავსაკაულებით, საზედაო ასოებითა და მახარებელთა გამოსახულებებით.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. Д. Баградзе, Сванетия, Записки КОРГО, VI, 1861, стр. 98—99; А. Хаканашвили, О Сванетских рукописных евангелиях и надписях, Материалы по археологии Кавказа, Москва, 1904; П. Уварова, Сванетия, МАК, X; ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 398—403; ელ. მაქავარიანი, ლაბსყალდის ხელნაწერი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბილისი, 1963, გვ. 137—161.

ხელნაწერს არ ახლავს გადამწერის ანდერძი. ა. ხახანაშვილისა და ექ. თაყაიშვილის ვარაუდით, ხელნაწერი გადაწერილია ბერების იოვანეს და სკმეონის მიერ, რომლებიც იხსენიებიან იოვანეს სახარების ბოლოს დართულ მინაწერში: „წმიდაო ღმრთისაო, ვინცა მიემთხვენთ წმიდასა ამას სახარებასა. ლოცვა-ყავ მდაბლთა მონაზონთა იოვანეს და სკმეონისთვის“ (257v). ხელნაწერს ერთვის სხვა მინაწერიც: „ქრისტე, შეიწყალე სული ჩემ ცოდვისისა სტეფანესი“ (78r). შესაძლოა, გადამწერი ამ მინაწერში მოხსენიებული სტეფანე იყოს, მით უმეტეს, რომ ხელნაწერი თავიდან ბოლომდე ერთი ხელითაა ნაწერი.

დ. ბაქრაძე და ა. ხახანაშვილი ხელნაწერს XI ს-ით ათარიღებენ, პ. უვაროვა — XIII ს-ით, ექ. თაყაიშვილი — XII—XIII ს-ით, ელ. მაქავარიანი — 1259—1270 წლებით.

ხელნაწერი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ტაბულაზე წარმოდგენილია ლუკას XV თავის 2—9 მუხლები.

ტაბ. 114 და 115 (Q 902) — მოქვის ოთხთავი.

ასეთ სახელწოდებას ნუსხა-ხუცურით კარგ ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი ეს ოთხთავი იმის გამო ატარებს, რომ მოქვიდან (აფხაზეთიდან) არის ჩამოტანილი. ნუსხა შედგება 170 ფურცლისაგან. მისი ზომაა 29,5×23 სმ, ხოლო ნაწერისა — 21,5×7 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...დაიწერა წმიდაა ესე ოთხთავი დასაბამითანთა წელთა ზმდ ქართულითა სათუალავითა, და ბერძულად — ხუც, ქრონიკონსა ფ, ზედნადებსა მთოვარისასა ვ, მცხრალსა ზ, ინდიკტიონსა ფ, კეთუელსა ლ, ექუსულსა ლფ, მზისა მოქცევსა დ, მთოვარისა მოქცევსა ვ, ხულითა ჩემ ფრიად ცოდვილისა ეფრემისითა“ (166v—167r). აქედან ნათლად ჩანს, რომ ხელნაწერი დაუწერია ვინმე ეფრემს 1300 წელს. სად და ვისი დაკვეთით — არაა ნათქვამი არც ანდერძში და არც სხვა მინაწერში.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ლუკას სახარებიდანაა, სახელდობრ: XIX, 22—36.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, ი. ლ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1958, გვ. 312—315.

ტაბ. 116 (H 1844) — შიომღვიმის ოთხთავი.

ასეთ სახელწოდებას ეს ოთხთავი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, იმის გამო ატარებს, რომ დაწერილია შიომღვიმეს. შედგება ის 264 ფურცლისაგან, რომელთაგან ეტრატზე ნაწერი (ე. ი. ძველი ნაწილისა) არის 255 ფურცელი. ამის ზომაა 22×16,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 16,5×5,5 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...ესე წმიდაა და საწადელი სახარებაა მოვიგე და დაწერე კელითა ჩემითა მე, გიორგი, სულითა საწყალობელმან, სახითა ოდენ მონაზონ-ხუცესმან... ღმერთო, შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი გიორგის, ამის წმიდისა სახარებისა მწერალსა, ამინ. დაიწერა წმიდაა ესე ოთხთავი დიდსა უდაბნოსა მღვმისასა, საყოფელსა წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიომღვისა. ხოლო ქრონიკონისა წელი იყვნეს ვე. წელინი, რომელ გარდასრულ არიან დასაბამითან ვიდრე ჭუარციუმამდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ესრეთ იცნობების — ჭფლდ. ხოლო შემდგომად ჭუარციუმისა ვიდრე მოაქმომდე ჩხო, ერთ რიცხუად ყოველნი წელინი დასაბამითან ვიდრე აქამომდე ხუდ“ (254v).

ამ ადგილიდან ჩანს, რომ სახარების ეს ნუსხა დაუწერია გიორგი ხუცეს-მონაზონს შიომღვიმეში. პირველი სათარიღო მაჩვენებელი დაწერის დროდ ასახელებს ქრონიკონს ვე-ს, ე. ი. 1185 წელს, ხოლო მეორენი — 1304 წელს. უკანასკნელი უფრო სწორი უნდა იყოს ხელის თვისების მიხედვითაც. პირველი შეიძლება ამ ნუსხის დედნის დაწერის თარიღი იყოს (აქ შემთხვევით გადმოყოლილი).

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი მათეს სახარებიდანაა, სახელდობრ: XVII, 53—63.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. შეხვედრის ხელნაწერები (H კოლექციისა), III, შედგანილი ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 289—291.

ტაბ. 117 (A 570) — ზიბლია.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქაღალდზე ორ სვეტად ნაწერი, შედგება 144 ფურცლისაგან. მისი ზომაა 29,5×23 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 22,5×6,7 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს ანდერძი არ შემორჩენია. მასში ეპოულობთ რამდენიმე მინაწერს, რომელთაგან ირვეცაა გადაშვრის ვინაობა და ხელნაწერის დაწერის დრო: 1. „დაესრულა ნეშტთაჲ პირველი, ცოდვისა გიორგის შეუნდვენ ღმერთმან“ (55v); 2. აქა დაბნელდა დღე ასრე, რომე წერაჲ აღარა იქნებოდა და გალატონი [ველარა ჰხედვი]დეს საქმესა. თუე იყო ივლისი, დღე პარასკევი, თუჲ თურამეტი, ქრონიკონი რმშ; თუ რაჲ მოჰკვდების, ღმერთმან უწყის“ (146r). ამრიგად, ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი დაუწერია ვინმე გიორგის 1460 წელს.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი II ნეშტთან ადრის, სახელდობრ: XIX, 4—XX, 6.

ხელნაწერის აღწერალობისათვის იხ. თ. გორდანიას Описание рукописей церковного музея, I, стр. 90.

ტაბ. 118 (A 851) — დავითნი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, შედგება 167 ფურცლისაგან. მისი ზომაა 10×7,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 7,7×5,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...სრულ იქმნეს წმიდანი ესე დავითის ფსალმუნნი ბრძანებითა დიდისა წარჩინებულისა თვთმპყრობლისა პატრონის ყუარყუარეს ძისა. მკისა და ახოვნისა პატრონის მზექაბუქისითა. რომლისა მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი და ქსენებაჲ მისი მოუკლებელ ყოს ღმერთმან სიმრავლესა შინა ჟამთასა, ამინ.

აღაწერიანი წმიდანი ესე დავითნი მე. მონამან და მოსაემან ქრისტეს ღმრთისამან მზექაბუქ, საკსრად და საცოდ სულისა ჩემისათეს და შესანდობლად მშობელთა, ძმათა და ნათესავთა ჩემთათეს. აწ ვინცა მიემთხვენეთ, ესრეთ შენდობასა ბრძანებდით: პატრონსა დედისიმედსა ცოდვანი მისნი შეუნდენეს ღმერთმან; პატრონი ყუარყუარე აღდგარძეულ და ცოდვანი მისნი შეუნდენეს ღმერთმან; პატრონსა ქაიხოსროს შეუნდენეს ღმერთმან; პატრონსა მზექაბუქს შეუნდენეს ღმერთმან; პატრონსა ბაადურს შეუნდენეს ღმერთმან... ვთავადეს ქრონიკონსა რპპ. აპრილსა კე, კელითა ფრიად ცოდვილისა მწერლისა ამბროსისითა...“ (165r).

აქედან ნათლად ჩანს, რომ ეს დავითნი დაუწერია ამბროსოს 1494/5 წელს მზექაბუქ ათაბაგის დაკვეთით.

ტაბულაზე აღბეჭდილი დავითნის ტექსტია — XLIII, 2—17.

ხელნაწერის აღწერალობისათვის იხ. თ. გორდანიას Описание рукописей церковного музея. I, Тип. пис., 1901, стр. 350.

ტაბ. 110 (A 401) — ვალეს ოთხთავი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქაღალდზე ორ სვეტად ნაწერი, შედგება 509 ფურცლისაგან. მისი ზომაა 21×15,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 15×4,7 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „ღმერთო... პატრონი სვკრიდონ აცოცხლე და აღდგარძეულ და ძე მათი, პატრონი იორამ, ამოდ უმოყოფლე... დაიწე-

რადეგ განმანათლებელი სულისა და კორცისა ოთხთავი ქორანიკონსა ორას და ორსა. ზოსიმეს ვალებსა და მისთა მიცვალებულთა შეუნდგენს ღმერთ-მან...“ (486v).

აქედან ირეკევა, რომ ეს ოთხთავი გადაუწერია ზოსიმე ვალებს 1514 წ., ალბათ, ვალებს ეკლესიისთვის.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი ლუკას სახარებიდანაა, სახელდობრ XVIII, 26—34.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას *Описание рукописей церковного музея*, II, Тифлис, 1902, стр 1—2.

ტაბ. 120 (H 1721) — ოთხთავი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუტურით ეტრატზე ორ სვეტად ნაწერი, შედგება 325 ფურცლისაგან. მისი ზომაა 12×8,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 9,3×3 სმ (ცალი სვეტისა).

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...მე, მერაბ კალმახელმან, და ჩემმან თანამეცხედრემან ელენე, დავაწერინეთ წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი ოთხთავი სამლოცველოდ სულისა ჩუენისათვის და სადღეგრძელოდ შეილისა... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებჲაჲ ქორანიკონსა სჴ, მოქცევასა მეაცამეტესა“ (325r). ეს სახარება დაუწერიანებია მერაბ კალმახელსა და მის ცოლს ელენეს 1520 წ. მელქიზედეგისთვის (4v).

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი მარკოზის სახარებიდანაა, სახელდობრ, IX, 16—30.

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჯიფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), IV, შედგენილია და დასაბუქდალ დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950, გვ. 154—155.

ტაბ. 121 (A 189) — სვინაქსარი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუტურით ეტრატზე ნაწერი, შედგება 362 ფურცლისაგან. მისი ზომაა 30×22,2 სმ, ხოლო ნაწერისა — 23,5×15,3 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...დაიწერა კელითა გლახაკისა... აბრაჰამ დავითის ძისათა, რომელი [წარმოვემართე] სამცხით, მთის ძირით კარჩხალთ... და დავწერე წიგნი ესე სვინაქსარი ბრძანებითა [პატრონისა] დედაფლისა თინათინისაჲთა. დავიწერე გრემს... თუქსა დეკემბერსა ქუქსსა, ქრონიკონსა სჴგ.. გათავდა ალოსს, ტაძარსა შინა ნათლისმცემელისასა თუქსსა იენისსა იბ-სა, დღესა შაბათსა, ქრონიკონს სჴგ-სა, ზედნადებსა კგ“ (362r). აქედან ჩანს, რომ ხელნაწერი დაუსრულებია აბრაამ გადამწერს 1535 წელს 12.VI, შაბათს. თარიღი ამ ნაწილში ზემიწვევით სწორია. როდის შეუდგა აბრაამი წერას? ანდერძი ამბობს, 6 დეკემბერსაო, და დასძენს ქრონიკონსა სჴგ-ო, რაც შეცდომაა, უნდა იყოს — ქრონიკონსა სჴბ.

ხელნაწერი, როგორც ანდერძშია აღნიშნული, სვინაქსარს წარმოადგენს. ეს სვინაქსარი გიორგი ათონელის მიერ არის გადმოღებული, რაც აღნიშნულია ხელნაწერშიც (362r).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანიას *Описание рукописей церковного музея*, I, Тифлис, 1901, стр. 145—147.

ტაბ. 122 (H 1048) — გამოკრებული ოთხთავი და სამოციქულო.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ეტრატზე ნაწერი, შედგება 274 ფურცლისაგან. მისი ზომაა 26×19,4 სმ, ხოლო თვით ნაწერისა — 19,5×13 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „...გასრულდა წმიდაა ესე გამოკრებულნი და წართული სრული სამოციქულოა და სრული სხაზრება... დაიწერა წმიდასა და დიდებულსა... გოლგოთსა შინა... ხუცეს-მღვდელისა ოჯიქძისა დიმიტრისა ქულით... დაიწერა დასაბამითგან შვდიათას ხუთას მე წელსა, იესუს ქრისტეს ჭუარცუმითგან ათას ხუთას მე წელს“ (271v).

ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი დაიწერა ხუცესს დიმიტრი ოჯიქძეს გოლგოთას, იერუსალიმს. დაწერის თარიღიც აღნიშნულია აქ, მაგრამ შეცდომას ვამჩნევთ შიგ. ასე, მაგალითად, დასაბამითგანი [(7546—5604) 1942 წ. (?)] საუქუნთოც კი არ უდგება იმას, რასაც ქრისტესით გვაწვდის (1546 წ.). ხოლო უკანასკნელზე ნათქვამია „ჭუარცუმითგან“-ო, სადაც შეიძლება აგრეთვე შეცდომა იყოს (ნაცვლად „ქრისტეს დაბადებითგან“ ანუ „განკორიცილებითგან“-ო). თუ „ჭუარცუმითგან“ სწორია, მაშინ გადაწერის თარიღი წამოიწევს და ნაცვლად 1546 წლისა იქნება (1546+34) 1580 წ. მაგრამ, უფრო საფიქრებელია, რომ დასაბამითგანდ უნდა აღნიშნულიყო 7046, რაც ალექსანდრიული სათვალავით მოგვეცემს (7046—5500) 1546 წ.

ხელნაწერს აღწერილობისათვის იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზღვის ეოც. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილი ქრ. შარაშვილისა ხელმძღვანელობითა და რედაქციით, 111, თბილისი, 1948, გვ. 302—303.

ტაბ. 128 (H 1608) — მარხვანი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ორ სვეტად ნაწერი, შეიცავს 194 ფურცელს. მისი ზომაა 39,3×26,5 სმ, ხოლო ნაწერისა — 29,7×8,5 სმ (სვეტისა).

ანდერძის თანახმად, რომელიც ტაბულაზეა აღბეჭდილი, ეს ხელნაწერი — მარხვანი — დაუწერია აწყურს, 1538 წელს, „აწყურისა ქალაქსა და მონასტერსა აღზრდილს“ გრიგოლს ჭაიხოსრო ზაალის ძე ფანასკერტელ-ციცისშვილის დაკვეთით.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ თავიდანაა, რომლის წარწერა შემდგომია: „წესი და განგება წმიდათა ვენებათა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა“ (109v).

ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), IV. შედგენილია და დასაბეჭდად დაზამბებული ე. ლ. ე. მ. ტ. რ. ე. კ. ლ. — მიერ, თბილისი, 1950, გვ. 122—123.

ტაბ. 124 (H 842) — ჟამგულანი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით ქალაღზე ნაწერი, შედგება 652 ფურცლისაგან. მისი ზომაა 27,3×18 სმ, ხოლო ნაწერისა — 21×12,5 სმ.

ხელნაწერს მოეპოვება ანდერძი: „წმიდანო... რომელნი ამა წმიდათა ჟამგულანთა მიემთხვენთ, მო[მ]იკესნებდით... მე... ფრიად ცოდვილმა ფანასკერტელმა ციციშვილმა სარდრის პალატთ უხუცის პაპუნის ძემან ზაალ და თანამეცხებდრემან ჩუენმან ასულმან ამირეჯიბისმან ბატონმან მარიამ ვიგულეთ... და აღვაწერინეთ წმიდაა ესე და სულთა განმანათლებელი, უნაკლულო და ყოვლითურთ აღსრულებული ჭაზულითა და დაბ[ა]ტკთა ესე ჟამგულ-

ლანი სულისა ჩუენისა საოხად და ძეთა ჩუენთა სადღეგრძელოდ... შემოგვირთ მცირე ესე შესაწირავი, შენ, საშინელსა და ცათა უმადლესსა ვეღრებინა ღმრთის-მშობელსა... დაიწერა წიგნი ესე ქრონიკონსა ტმთ“ (232v).

ზაალ პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციისშვილის დაკვეთით 1661 წ. გადაწერილი ეს ქაშველანი გადაუწერია რამდენიმე პირს, როგორც ამას ხელნაწერის სხვადასხვა ადგილს აღნიშნული მინაწერები მოწმობს: 1. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამის მწერალი მღვდელი შოი...“ (111r); 2. „სრულ იქმნა რვა კმა ესე, კვრამალი და ერთი მრთელი შვდელული... ბრძანებითა ციციისშვილის ზაალისითა... კელითა ჩემ ცოდვილისა ათანასესითა. ახლად მოსწავლე ვიყავ და, თუ რამემ დამეშავებინოს, ნუ მწყევთ...“ (319v); 3. „უფალო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იესე ამა შაბათ-კვრიაკის მწერალი, ამინ. რაც ოდენ ძალ-მედვა, სიკეთესა და სიმართლესა და რიგს ვეცადე, უწყის ღმერთმან. უცებად წერისათვის ნუ მწყევთ...“ (510v). ამრიგად, ამ მინაწერებითა, სულ მცირე, სამი გადაწერილი მანაც არის გამოვლინებული: შოი მღვდელი, ათანასე და იესე.

ტაბულაზე აღბეჭდილი ტექსტი იმ წიგნიდანაა, რომელიც ასეთ წარწერას ატარებს: „ოხითა იბაკონი წლისანი“.

ხელნაწერის აღწერილობისათვის ახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... (H კოლექცია), I, დასაბეჭდად მომზადებული ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1945, გვ. 252—255.

ტაბ. 125 (H 1719) — კურთხევანი.

ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურიტი ქალღმერთ ნაწერი, შედგება 298 ფურცლისაგან. მისი ზომაა 24,5×19,8 სმ, ხოლო ნაწერისა — 15,5×12,7 სმ.

